საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი 24 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზ. „ერთობის“ ფასი: 1 თვით 18 მანეთი. ცალკე ნომერი ფასდება 75 კაპ. განცხადებების ფასი, რომელიც პირველ გვერდზე, ერთ [illegible] პეტიტის სტრიქონი—1 მან. [illegible] განცხადება 25 მან. [illegible] განცხადება [illegible]

რედაქცია [illegible] ქუჩა № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია [illegible] რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის [illegible] № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 88 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 88

გულდამწვარი მშობლები პელაგია გიორგის ასული და ბარნაბა გიორგის ძე სურგულაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ-მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისში მათი საყვარელი შვილი, ზავედენიის მე 4 კლასის მოწაფე

ნინა სურგულაძე.

ცხედრის გამოსვენება თბილისიდან სოფ. ნიგოითში მოხდა ორშაბათს, 21 აპრილს, ხოლო დაკრძალვა ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, მეორე დღეს, სამშაბათს, 22 აპრილს.

შვილები: გრიგოლ ივანეს ძე სირბილაძე და მარიამ (მალუცა) ივანეს ასული კაკუტაძისა, რძალი თამარა იოსების ასული, სიძე სვიმონ ლავრენტის ძე კაკუტაძე, შვილიშვილები: ქეთო და ლევანდიე სირბილაძეები, თამარა და გიორგი კაკუტაძენი, მაზლის შვილი გიორგი ზაალის ძე მეცხვარიშვილი გულდამწყვეტილნი აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში 15 აპრილს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ბარბალე გრიგოლის ასული სირბილაძისა

დაკრძალვა მოხდა ქ. ქუთაისში 17 აპრილს. (1—1

ხუთშაბათს, 24 აპრილს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

ნიკოლოზ მალაქიას ძე მირიანაშვილის

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებული დედა ნინო, მეუღლე გარდაცვალებულისა ვერა, ძმები: რაჟდენ, გიგა, ლევან, რძლები: კატო, დარია, ძმისწული სერაფიმა, და ანა. სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიდედრი ანა, სიმამრი ნიკა კარდანახიშვილები, ბიძაშვილები: შაქრო, საშა და სიძე გიორგი შოშიაშვილი. (1—1)

მეუღლე ანასტასია მიხეილის ასული, კონსტანტინე, ბორის, სერგო და ანატოლი კვაჭანტირაძეები გულსაკლავი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 7 აპრილს გარდაიცვალა მათი მეუღლე და დანარჩენის მამა

არტემ დიმიტრის ძე კვაჭანტირაძე

ქუთაისის მეორე ქალთა გიმნაზიის მუსიკის მასწავლებელი. დასაფლავდება გურიაში ს. ოქროსქედში. (1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა სალომე, ძმა გიორგი, და ნინიკო, სიძეები: გიორგი ნანეიშვილი, სამსონ მაჭავარიანი, დისწულები და ძმისწულები: შურა, ნადია, გოგუცა, ცუცუნა, გუგული, კოტე, გრიშა, დიმიტრი და კიტუშა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფასი

აკაკი მდივნისა

გადახდილ იქნება სოფ. გეგუთში 29 აპრილს. (2—1)

დისშვილი ვალოდია ადამია და მისი ცოლი დარია, სიძე ალექსანდრე რაზუმოვი ცოლი მისი ციცინო, ბიძაშვილი იოსებ ძიგუა და მისი ცოლი ბაბუცა, ბიძაშვილი დიმიტრი გიგიბერია და ცოლი მისი ანეტა და კიმოთე გიგიბერია, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

სილოვან სიმონის ძე გიგიბერიას

ვერაგულად მოკვლას. გამოსვენება მოხდება 24 აპრილს ხუთშაბათს დილის 10 საათზე ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში (ბანა სულეიმანის ქუჩა № 22).

გულდათუთქულნი: დედა მაკო, მამა ნიკო, ძმები: იოსები და მამუ, და დომნა კახიანები ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად გარდაცვლილის 1918 წ. 1 აპრილს სამტრედიაში საყვარელი

ვარლამ ნიკოს ძე კახიანის

გამოსათხოვარი წირვა და პანაშვიდი დანიშნულია [illegible] დღეს, 24 აპრილს (ახ. სტ.) სოფ. ჯიქთურში (იმერეთი) წმ. ილიას ეკლესიაში.

ქ. ზესტაფონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის კოლექტივი აუწყებს ამხანაგებს თავის წევრის და საყვარელი ამხანაგის, ზესტაფონის გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფის

დიმიტრი (მიტია) არჩილის ძე გაჩეჩილაძის

უდროოთ გარდაცვალებას. ცხედრის მოასვენებენ ქ. ზესტაფონში სამშაბათს დილით. დასაფლავება მოხდება 24 აპრილს ქ. ზესტაფონში დილით, ხუთშაბათს.

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრა პროკოფის ასული და იოსებ ალექსის ძე კალოიანები შვილებით: შალიკო და ლილით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის საყვარელ და მუდამ დაუვიწყარ დის, მეორის ცოლის დის, ხოლო მესამისა და მეოთხის დიდის დის

კოლია პროკოფის ასულის კონტრიძის

უდროოდ დაკარგვას, რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 24 აპრილს, სამღვთო ლიტურღიის შესრულების შემდეგ დიდუბის ეკლესიის გალავანში, სადაც მიცვალებული ასვენია ამ ჟამად. პანაშვიდები იქნება ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფი და გულდამწვარი მეუღლე ვერა ვლადიმერის ასული ბერეჟიანისა, შვილები: არისტოტელე, შოთა, ქეთო და პეტრე იოსები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ 26 აპრილს (ახ. ტ.) სადგურ ბაკურიანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. პირველის საყვარელი მეუღლისა და მეორენი ძვირფასი მამის, ბაკურიანის სადგურის უფროსის

იოსებ გიორგის ძე ბერეჟიანის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეფროსინე ილარიონის ასული ნოზაძისა, შვილები: ნადია და თამარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხუთშაბათს, 24 აპრილს 12 საათზე გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ძვირფას

გიორგი (იაგორ) გაბრიელის ძე ნოზაძის

სულის მოსახსენებლად.

გულმოკლულნი: დედა საშიკო [illegible] ასული თევზაძისა, მამა ივანე და შვილები მისი: ლავრენტი, ნიკოლოზ, კორნელი, მიშა, ნინა და შურა, ბაბუა იესე, ბებია ბარბარე, მამიდები: თეო, ელპიტე, ანუშკა, სიძეები გაბრიელ ბურჯულაძე და ლუკა ბუხრიკიშვილი, ნათლიები: ალექსი, ანიკო, ქეთია და რაჟდენ, ბაბუა ბესარიონ, ბიძები: კალისტრატე, იუსტინე, ნოე და ილია, მამიდა ეკატერინე ბესარიონის ასული თევზაძენი, ამით აუწყებენ მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი სახალხო გვარდიელის

ვასილ ივანეს ძის თევზაძის

უდროოთ გარდაცვალებას, რომელიც დაჭრილ იქნა ეკატერინენფელდის ბრძოლაში. გარდაიცვალა 18 აპრილს ს. ს. რკინის გზის საავადმყოფოში. უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ იყო 22 აპრილი დასაფლავებული იქნა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

გამოვიდა

№ 1. „შვიდი მნათობი“ № 1.

ფასი 25 მანეთი.

საწყობი: პლეხანოვის პროსპექტი, № 178. (2—1)

ჩვენ და ბოლშევიკები

ევროპის რევოლუციის გაძლიერებამ, მისი ტერიტორიის გაფართოვებამ და გაღრმავებამ, გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ, რომელიც ნიშანდობლივი თვისებაა ყოველი რევოლუციის, ხელახლა წამოაყენა საკითხი რუსეთის ბოლშევიზმის და მასთან დამოკიდებულების.

გამარჯვებულ სახელმწიფოთა კოალიციას სურს ცნობა ბოლშევიკებისა—თავის იმპერიალისტური მიზნების მიხედვით.

ევროპის რევოლუციონერებს სურთ ბოლშევიზმთან კავშირი იმპერიალისტებთან ბრძოლის მიზნით. ამ რიგათ ბოლშევიზმი ორი მხრით პოულობს გამოწვდილ ხელს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ არცერთი ხელის გამომწვდელი არ იწონებს ბოლშევიზმს, როგორც ასეთს. იმპერიალისტებზე ამ შემთხვევაში ლაპარაკიც მეტია. მათ ისე მოსწონთ ბოლშევიზმი, როგორც მგელს კრავი. მაგრამ თვით სოციალისტებსაც კონფერენციამაც ბერნში ვერ დაინახა შესაძლებლათ ბოლშევიზმის მოწონება, პირიქით მან ძლივს დაიჭირა თავი ბოლშევიზმის ანარქისტულ გამოსვლების და სისხლის ტაქტიკის დაგმობისაგან.

მაგრამ რევოლუციურ ცვალ-ცვლილების ხანაში ეს არ აჩერებს სიმპატია-ანტიპატიის ცვლილებას. თვით რუსეთის შიგნით ხდება ერთგვარი დაძვრა დემოკრატიის ფრონტის გამთლიანებისაკენ.

ერთი მხრით ბოლშევიკები თავს ანებებენ უკიდურეს მემარცხენეობას და იხრებიან დემოკრატიული გზისაკენ. მეორე მხრით დანარჩენი დემოკრატიული წრეები და სოციალისტური პოლიტიკური პარტიები საჭიროთ ცნობენ აქტიურ პოლიტიკის საწარმოებლათ მუშათა კლასთან ერთად ყოფნას რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში და თუ ერთი მხრით ბოლშევიზმს გმობენ და იწუნებენ მისი ანარქისტული ხასიათის გამო, მეორე მხრით მას გვერდში უდგებიან, საბჭოთა მთავრობას ცნობენ.

ჩვენშიაც წამოიჭრა ეს საკითხი ბოლშევიკურ რუსეთის ცნობისა. გულკეთილი მეგობრები ამიერკავკასიის მუშათა კლასის, გულშემატკივარი მათის ფიცხლად გაერთიანებისათვის, რომელნიც დღემდე ბოლშევიზმს აბრალებდენ ამიერ-კავკასიის გამოთიშვას და უმწეო მდგომარეობაში ჩაგდებას, ახლა ამავე ბოლშევიზმს ეტმასნებიან, საბჭოთა მთავრობის მაღალ მფარველობას ქვეშ ფიქრობენ გატეხილი ცხოვრების გამთელებას, თავის დანგრეული ბუდეების აღდგენას და ძველ ცხოვრების სათავეში წამოსკუპებას.

რაშია საქმე?

რუსეთის მენშევიკები, ესერები და სხვები ურთდებიან ბოლშევიკებს რეაქციასთან საბრძოლველათ. ადგილობრივი, ამიერ კავკასიელი ყოფილი მენშევიკები და ესერები ურთდებიან ბოლშევიკებს საქართველოს დემოკრატიასთან საბრძოლველათ. რუსეთის მენშევიკები და ესერები სცნობენ, რომ ჩვენ რევოლუციურ გზით მივდივართ ამ ვიწრო ფარგლებში, რომელშიაც ცხოვრებამ მოგვამწყვდია. აქაური გზადაბნეულ ესერებს არ სურთ ამის გაგება და თავის მოშხამულ აგიტაციას თავს არ ანებებენ.

ეს არის პირველი და მთავარი განსხვავება ადგილობრივ ჩვენი ყოფილი ამხანაგებისა რუსეთის ჩვენი თანამოაზრეებისაგან. მათ მოწოდებას საბჭოთა მთავრობის კალთისაკენ მხოლოდ ერთი აზრი აქვს, ჩვენი არსებობის გათქვეფა რუსეთის ბოლშევიზმის ტალღებში. ამიტომ ისინი, როგორც ყოფილი რუსული „სოც.-დემ.“ ჩვენ მიგვიწვევენ.

„საბჭოთა მთავრობაში დღეისათვის არაა მტერი, რომელთანაც საჭიროა ბრძოლა, არამედ მოკავშირე საერთო ბრძოლაში რუსეთის და ევროპის რეაქციასთან სოციალიზმის განსახორციელებლათ“. ამის მეტიც სურთ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს შეერთება ბოლშევიკურ რუსეთთან ჩვენზე იყოს მხოლოდ დამოკიდებული. რასაკვირველია, თუ მას, ესე იგი ბოლშევიკურ რუსეთს, დავემონებით, ამით ბრძოლაც შეწყდება, მაგრამ თუ არ დავემონებით? ამ შემთხვევაში ბრძოლის შეწყვეტა და მტრობის ამოფხვრა დამოკიდებულია არა საქართველოს დემოკრატიაზე, არამედ ბოლშევიკურ რუსეთზე. ჩვენ ომს არავის ვუცხადებთ, და რომ ბოლშევიკური რუსეთი და მისი შეგნებული, თუ შეუგნებელი ამყოლნი იარაღით, არეულობის გამოწვევით, ანარქიის შექმნით, დამშევით და სხვ. არ ცდილობდეს ჩვენს დანგრევას, რომ იგი თვით რუსეთში გაამრთელებდეს ერთ დემოკრატიულ ფრონტს, და სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლის მაგიერ, მათთან მეგობრულათ იქცეოდეს, ერთი სიტყვით, რომ იგი ანარქია-ბლანკისტური, გამთიშველი და სისხლის-მღვრელი პოლიტიკის ნაცვლათ, მართლა პოლიტიკურ, კლასიურ პოლიტიკას დაადგებოდეს, ჩვენ შეძლება გვექნება მასთან საერთო ენა გამოვნახოთ.

თორემ განა შეიძლება საერთო ენა და ლაპარაკი მასთან, ვინც ყოველ წუთს იარაღით, ტყვიით, ხიშტით გვემუქრება?

თვით ჩვენი განმარტოვება რევოლუციურ ბრძოლაში შედეგი იყო ბოლშევიკების ამ უმსგავსო პოლიტიკის, გაიხსენეთ თუნდ ის ფაქტი, რომ ბაქოს ბოლშევიკები თბილისის დანგრევასა და ჩვენი მენშევიკური მთავრობის ჩამოგდებაზე გაჰკიოდენ მთელი წლების განმავლობაში, სანამ თვით არ გახდენ მსხვერპლი ოსმალთა აგენტების.

განა საერთო მტერი არ გვყავდა მაშინ? განა ჩვენ არ მოვუწოდებდით მათ ფრონტის გაერთიანებისაკენ შავი რეაქციის წინააღმდეგ? და რა მივიღეთ ამის ნაცვლათ? კონტრ-რევოლუციონერებათ მონათვლა, უშვერი ლანძღვა და სასტიკი მუქარა: გაგასწორებთო. მივიღეთ აგრეთვე უსაძაგლესი აჯანყებები ლორეში და სხვაგან, როცა ოსმალთ აგენტებისაგან ბათომს ვიცავდით.

ამიტომ ჩვენი ყოფილი ამხანაგის ესენის ტკბილ სიმღერას შერიგებაზე ჩვენ ახლა იოლად ვერ ვიწამებთ.

ჩვენ გვინდა საქმე და არა სიტყვა, და როცა საბჭოთა რუსეთი ასეთ საქმეს დაგვანახვებს, შეთანხმებაზე და საერთო ბრძოლაზე მაშინ დაისმის საკითხი. მანამდე კი ჩვენ საკუთარი ღონისძიებით და საშუალებით შევებრძოლებით ჩვენზე მოსულ რეაქციას, საიდანაც და რა სახითაც უნდა მოგვევლინოს იგი. და ჩვენ დარწმუნებულიც ვართ, რომ მუშათა კლასი საქართველოსი, როგორც დღემდე, ისე შემდეგშიაც შესძლებს თავის რევოლუციური გზის შენარჩუნებას.

პრესა

გაზ. „სოციალდემოკრატი“ აქამდე მორცხვათ ექომაგებოდა ბოლშევიზმს, ნიღაბის ტარებას მაინც საჭიროდ თვლიდა. ახლა კი ეს სამკაული ზედმეტათ მიუჩნევია და აშკარათ იცავს რუსეთის კომუნისტებს.

ვინმე ს. ე. წერილში „საბჭოთა რუსეთი და საშუალო გლეხკაცობა“, დიდის ამბით ამტკიცებს:

„შეთანხმება საბჭოთა მთავრობისა საშუალო გლეხკაცობასთან—ძალიან ძველი ისტორიაა. ამ შეთანხმებაზე არამარტო ოფიციალურათ ლაპარაკობდენ და სწერდენ ჯერ კიდევ გასულ წელს, არამედ იგი ტარდებოდა კიდეც ცხოვრებაში სოფლის ღარიბთა კომიტეტების არსებობის პირველ დღიდანვე, რომელთა მუშაობაში საშუალო გლეხკაცობა პირდაპირ მონაწილეობას იღებდა. დრო ბოლოს და ბოლოს იცნობს მნიშვნელობას ოქტომბრის რევოლუციის და კრიტიკას უფრო ფრთხილად და სიყვარულით მოეპყრობა და არა მტრულათ და მძულვარებით“.

მაშ ასე: საჭიროა სიყვარულით და მოფერებით გავუწიოთ კრიტიკა ოქტომბრის გადატრიალების გმირებს და ამიტომ აღვიაროთ, რომ ღარიბთა კომიტეტები იყო მეგობრობის გამომხატველი ბოლშევიკებისა და საშუალო გლეხკაცობის.

ჩვენ დავიჯერებდით, ვირწმუნებდით ამ უანგარო „ადვოკატების“ ასეთ დაცვას, ვირწმუნებდით, რომ ამ სოც.-დემოკრატებს მართლა მარქსისტული სვინდისი ალაპარაკებს ასეთ კილოზე, მაგრამ...

იმავე ნომერში უდავო და ეჭვს გარეშე მდგომი სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი, ბოლშევიკებისა და რუსეთის სინამდვილის კარგი მცოდნე—ლ. მარტოვის წერილი იმავე ნომერში მოთავსებული, სულ წინააღმდეგს ამტკიცებს: ეს უკანასკნელი, თითქოს განგებ „ერთობის“ ან „ბორბას“ აზრს იზიარებს და შემდეგს სწერს:

„ეკონომიურ რეფორმებს ეკუთვნის პირველ ყოვლისა ფაქტიური გაუქმება ღარიბთა კომიტეტებისა და ცდა ხელახლა საშუალო გლეხებზე დაყრდნობისა, რომელიც ამიერიდან ნაბრძანებია აღარ იქნენ ჩათვლილი ჩარჩებათ... ლოღიკურათ ამას მივყავართ დაუყოვნებლივ სოციალიზმის უარყოფამდე. ვინაიდან არავისთვის საიდუმლო არაა, რომ გლეხობასთან შერიგება შეიძლება მხოლოდ მისი ინდივიდუალური მეურნეობის ხელშეუხებლობის აღიარებით, ხოლო ხასიათი ამ მეურნეობისა ისეთ მიწათ-მოქმედების ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, წინასწარ განსაზღვრავს მთელი სახალხო მეურნეობის ხასიათს. და ტყუილა კი არ იყო, რომ ღარიბთა კომიტეტების გაუქმებასთან ერთათ მიწათ მოქმედების კომისარიატმა გააუქმა „სამიწათ-მოქმედო კომუნები“. ეს [illegible] გლეხკაცობისა, რომელთაც მეურნეობით ფიქრობდენ ინდივიდუალურ მეურნეობის განდევნას სოფლიდან და იქ სოციალიზმის დანერგვას“.

ცხადია ლენინის სამეფოში არც ისე კარგათაა საქმე, როგორც ამას ქადაგებენ კომუნისტების ახალი ვექილი გაზ. „სოციალდემოკრატი“-დან.

ბოლშევიზმი, მარტოვის სიტყვით, ახლა ურიგდება საშუალო გლეხობას, და ეს ნიშნავს დაუყოვნებლივ სოციალიზმზე ხელის აღებას, ე. ი. ბოლშევიზმის მთავარ პოზიციის დაკარგვას რეალურათ ცხოვრებაში და რომლის შემდეგ მისი შერჩენა შეიძლება მხოლოდ ფრაზეოლოგიის სამეფოში, თეორიაში. ჩვენ არ გვაქვს საბუთი ლ. მარტოვს არ მივცეთ უპირატესობა ბ-ნ ს. ე—სა და ა. ესენის წინაშე. და ამიტომ გვინდა ვკითხოთ სოც.-დემ. ჯგუფს: ვინ ბრძანდებით ბატონებო, სოციალდემოკრატები, თუ კომუნისტები? რაკი დაიწყეთ ნიღაბის ახდა, ბარემ საჯაროთ აიხადეთ! ნუ გრცხვენიათ!

ბრძოლის ველიდან

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისაგან.

ამხანაგებო! სახალხო გვარდიის შეერთებული ძალით არა ერთხელ უკუ უქცევია რევოლუციის მოსაპოვარ მტერნი; მისი სისხლით და ოფლით მორწყულია ჩვენი ქვეყნის მიდამოები, მისი მარჯვენა მუდამ აღმართულია დემოკრატიის დასაცავათ და კონტრ-რევოლუციონური ძალების შესამუსრავათ; დღეს კიდევ ერთი განსაცდელი კარს გვადგია: დენიკინის შავ-ბნელი ძალები კარგა ხანია თავს დასტრიალებს საქართველოს, მუხანათური თავდასხმით ის სოჭს და გაგრის ოლქებში შემოიჭრა, ჩვენი ქვეყნის პატარა ნაწილი ხელთ იგდო და ეხლა გვემუქრება ახალი თავდასხმით და განადგურებით. სოჭის ოლქი მათ გადააქციეს კოცონად, ყოველივე მისცეს ცეცხლსა და მახვილს, რითაც გამოიწვიეს ადგილობრივ მცხოვრებთა შეიარაღებული აჯანყება და ჩვენც იძულებული ვართ თავი დავიცვათ დემოკრატიის და რესპუბლიკის განმანადგურებელ თავდასხმისაგან.

ამხანაგებო! დაუყოვნებლივ ყველა ჩვენი შეიარაღებული ძალები ფეხზე უნდა დადგნენ და ყოველ წუთს იყვნენ მზათ თავდაცვისათვის.

ჩვენ ვიცავთ თავს უსაშინელეს რეაქციისაგან, ძველი ჟანდარმერიისაგან, მონობისაგან და ფიზიკურ განადგურებისაგან. მტერს მიზნათ დაუსახავს თავისუფლების დროშა ხელიდან გამოგვტაცოს, შავ—ბნელი ძალები გამოგზავნა, ისხვერპლოს ჩვენი თავისუფლება და დემოკრატია.

ჩვენი ამხანაგების მიერ ბრძოლის ველზე დაღვრილი უმანკო სისხლი თავისუფლების და დემოკრატიის დასაცავათ, გვავალებს დავიფიცოთ ჩვენი წითელი დროშის გარშემო და იარაღით ხელში სასიკვდილოთ შევებრძოლოთ შავ რეაქციის შემოტევას რევოლუციონურ საქართველოზე.

ყველამ იარაღს მოჰკიდეთ ხელი. აქეთკენ მოგიწოდებთ თქვენ რევოლუცია.

ძირს შავი რეაქცია.

გაუმარჯოს რევოლუციონურ დემოკრატიას.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი,

სახალხო გვარდიის შტაბის ცნობები.

სოჭის ფრონტი. დენიკინის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო აპრილის 17, დილის 4 საათზე. ცხენოსანთა დივიზიონი ხელახლათ გადავიდა მდ. ბზიბზე. მდინარეში გასვლის დროს დაიღუპა ერთი მხედარი და 3 ცხენი. ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთა მიუახლოვდა მამედოვის „ოქროპირი“-ს, ხოლო მარცხენა —დიდი მთავრის აგარაკ „კოლხიდა“-ს და ხელთ იგდო აფიცერთა სადარაჯო 4 აფიცერით. მოწინააღმდეგის არტილერია ცხენოსანთა დივიზიონს უშენს. ჩვენი ჯარის ნაწილები წინ მიიწევენ.

დღეს აპრილის 17, სოხუმის ჯგუფის ჯარებმა 14 საათზე გაგრა დაიჭირეს და 6 ვერსით წინ წაიწიეს. ორივე ფლანგებით შემოვლილმა დენიკინელებმა ვერ შესძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ და გაიქცნენ. ჩვენ მოგვიკლეს 2 სახალხო გვარდიელი და 3 ჯარისკაცი დაგვეჭრა. ტყვეთ წამოვიყვანეთ [illegible] ჯარის მთავარი აფიცერი, ჯარისკაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

ჩვენმა ჯარმა არდაგანი დაიკავა. მტერი ოლთისისკენ იხევს, სოჩის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა გაგრის ოლქი გაწმინდა მოხალისეთა ჯარებისაგან.

ფოთში დათხოვნილ იქნა ძველი მილიცია. ვიდრე მილიციის ახალი შტატი შედგებოდეს, ქალაქის დაცვის საქმე იკისრეს საუბნო დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

საზავო კონფერენციაზე მოკავშირეთა შორის ფიუმეს საკითხი უთანხმოებას იწვევს. ამერიკელები მოითხოვენ, რომ კროატებს ნაწილი დაუბრუნდეს.

მიუნხენში ძალა-უფლება საბჭოთა ხელშია. ბრაუნშვეიგში საალყო წესები გამოცხადდა.

გერმანიის წარმომადგენლებს ვერსალში მოელიან 25 აპრილს.

ვენაში უწესოებაა. რიგაში შიმშილობის ნიადაგზე ანარქიაა.

და ხელთ ვიგდეთ სამხედრო დავლა. ტყვეთა რიცხვს და დავლის რაოდენობას არკვევენ. სახალხო გვარდიელთა და სოხუმის ჯგუფის ნაწილები საუცხოვოთ მოქმედებენ.

18 აპრილი. დღეს, დილის 9 საათზე სახალხო გვარდიის დივიზიონმა დაიპირა მდ. მეხადირის ხაზი. დამარცხებულმა მტერმა მდ. მზიმთას იქით დაიხია. იქ მტერს თოფებს უშენენ აჯანყებული მცხოვრებნი. ტყვეთ წამოვიყვანეთ დახლოვებით 200 შეიარაღებული კაცი, უმეტეს ნაწილათ ოფიცრები.

გაგრა. ჩვენი ჯარი შეტევას აძლიერებს, 18 აპრილის 7 საათზე დაიპირა პოზიციები მდ. მეხადირზე. უკან დახეული მოხალისეთა ჯარი ს. ვესიოლოესთან იყრის თავს. დაზვერვა გრძელდება.

19 აპრილი. ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. მდ. მზიმთის მარცხენა ნაპირზე მტერი არსად არ აღმოჩნდა; მზვერავებისაგან მიღებულ ცნობებით მოხალისეთა ძალები ადლერის რაიონში იყრის თავს. მდ. მზიმთის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებნი სჩივიან, რომ ამბოხების გამო მათ წინააღმდეგ მოხალისეებმა მკაცრ რეპრესიებს მიმართეს. დაზარალებულ მცხოვრებთა სიტყვით მოხალისენი არ ინდობენ ქალებს და ბავშვებს და დახოცილთა გვამებს მდ. მზიმთაში ყრიან.

გაგრის ჯგუფის საველე შტაბისაგან. აპრ. 22. აპრილის 17 ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 88 აფიცერი და 150 ჯარისკაცი, დახოცა მოხალისეთა 87 ჯარისკაცი და აფიცერი. გაქცევის დროს მოხალისეებმა მიატოვეს გოსპიტალი, რომელშიაც დაავათმყოფებული 25 აფიცერი და 360 ჯარისკაცია. ფრონტზე ღამე წყნარათ ჩაიარა. შტაბის უფროსი პოლკოვნიკი თუხარელი.

ახალციხის ფრონტი. რაზმის ინჟინერის მარაბაშვილის მოხსენებით ის პირადათ ხელმძღვანელობდა ხანიორის ქედზე რაზმის გადასვლას. პირველი და მეორე დივიზიის ნაწილები და 2 სამთო ბატარეა გენ. ართმელაძის საერთო უფროსობით ქედზე გადავიდა ერთიან მძიმე პირობებში და ღამის სათევად ს. ს. სანდივერანის და ქვემო ტოუნდამ-ტამის რაიონში დაბანაკდა. პოლკ. გედევანიშვილი.

ახალციხის ფრონტი. გენ. ართმელაძის ჯარი სენდივერან—გიუნდამ—ტამალის რაიონში ატარებს დღეს და „ობოზების“ და არტილერიის მოსვლას უცდის. წინ გაგზავნილ მზვერავებს მტერი ჯერ არ აღმოუჩენიათ. გენ. ართმელაძის მოხსენებით ჯარის სულიერი განწყობილება მშვენიერია. გენ. ხუმბათაშვილმა პირადათ დაზვერა სოფ. ცხორისთავი, საიდანაც ჩვენი ჯარის გამოჩენისთანავე მისკენ წამოვიდა მწკრივათ 250 კაცი. გენ. ხუმბათაშვილმა დაიბარა მათი წინამძღოლი, აუხსნა გარემოება და იარაღის ჩაბარება მოსთხოვა; წინამძღოლი დასთანხმდა, ნებართვა ითხოვა ჩელდაგარის რაიონის სხვა სოფლებს მოლაპარაკებოდა. ცხორისთაველებს მისცეს 3 დღის ვადა, რომლის შემდეგაც უნდა დაიწყონ იარაღის ჩაბარება და გაანთავისუფლონ ჩვენი ჯარის გზა ახალქალაქ—არდაგანის გზატკეცილით.

უნდა აღინიშნოს კაპიტან მარაბაშვილის მეთაურობით საპიორთა რაზმის თავგანწირული მუშაობა. საპიორები ერთიან მძიმე ადგილობრივ პირობებში და უამინდობაში ხანიორის ქედზე თოვლისგან გზას სწმენდენ.

ახალციხე. აპრ. 22. აპრილის 18 და 19 გამთენიისას მტრის ლეგიონის შემდეგ იგი კარაბაშ-ოღლი ჩაის ხაზის სამხრეთით მდებარე მაღლობზე გადადევნეს. 20 აპრილს ჩვენმა ჯარმა სწრაფათ შეუტია მტერს და ამ მაღლობიდან გადადევნა. მტერი ისეთი სისწრაფით იხევს უკან, რომ თავდასაცავათ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე არდაგანის სიმაგრეთა დაჭერა ვერ მოასწრო. ჩაფლის ქედზე ხელთ ვიგდეთ 100-ზე მეტი ზარბაზნის ყუმბარა. უკან დახევის დროს მტერი სწვავდა ყველა სოფლებს მტკვარზე, მაგრამ არტილერიის სროლით მაინც შევძელით ფოხრალთან ცეცხლ მოკიდებულ ხიდის გადარჩენა და მისი შეკეთება. ამან საშუალება მოგვცა ჩვენი ძალები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაგვეყვანა. ამავე დროს მტერი მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და იქ არდაგანის სიმაგრეები დაიპირა, მაგრამ ჩვენს იერიშებს ვერ გაუძლო და ოლთისისა და ყარსის მიმართულებით დაიხია. ოლთისის გზა-შესაყრელზე მტრის დევნის დროს მე 6 პოლკის მოწინავე ნაწილებმა ხელთ იგდეს ზარბაზანი, 18 ფური ყუმბარებით, ხოლო გზა-თამასხის სიმაგრეებზე ხელთ ვიგდეთ 4 მეტრიანის გაუბიცა დიდძალი ყუმბარებით. თვით არდაგანში ხელთ ვიგდეთ დიდძალი ხორბალი და საჭმლის საგნები. არდაგანში მცხოვრებნი არ აღმოჩნდნენ. ჩვენი ზარალი არ არის ჯერ გამორკვეული. მოწინააღმდეგის ზარალი კი მნიშვნელოვანია. ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით, მოწინააღმდეგის ჯარს ხელმძღვანელობენ: ჯემალ-ბეგ და რამიზ-ბეგ ხიმშიაშვილი. ცნობა სერვერ-ბეგის მოკვლის შესახებ არ მართლდება, პირიქით, ის ხელმძღვანელობდა ბრძოლას ჩვენი ჯარის მდ. მტკვარზე გადასვლამდე. გენერალი კვინიტაძე.

უკანასკნელი ცნობები

ფოთი. აპრ. 21. მთელი ძველი მილიცია დათხოვნილია. ყველა ფუნქციის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მოიწყვეს თავდაცვა. მოქალაქენი ამ მიზნით თვითონ გამოდიან ღამ-ღამობით სადარაჯოთ სანამ მოეწყობოდეს ახალი მილიცია. 18 აპრილს ღამე მოხალისე დარაჯმა დავით კილაძემ შეიპყრო სამეგრელოს ცნობილი ყაჩაღები—აბრამია და სარჩიმია რომელნიც, როგორც ეს ნახახი მიწერ-მოწერიდან სჩანს, დღესასწაულების დროს სათარეშოთ ჩამოსულან ფოთში.

პარიზიდან ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო: „თქვენი დეპეშა დამფუძნებელ კრების შესახებ უკვე მივიღეთ. სტამბოლში ყოფილ ჩვენი დელეგაციისგან მხოლოდ ორი ჩამოვიდა. ნებართვა მივიღეთ აგრეთვე დ-რ დამბაშიძისა და ნიკოლაძისათვის. ვცდილობთ მივიღოთ ნებართვა სხვებისათვისაც. ვამზადებთ ნიადაგს და ყოველ მხრიდან თანაგრძნობით გვხვდებიან. ჩვენი საკითხი, როგორც სჩანს, მტრებთან ზავის შეკვრის შემდეგ გაირჩევა. ჩხეიძე, წერეთელი, გვარჯალაძე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 აპრილი

ინგლისის პრესის ცნობები.

როგორც იტყობინებიან, მთავარი პირობები დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ამერიკის თავდაცვითი კავშირისა გამოქვეყნებული იქნება საზავო ხელშეკრულებასთან ერთად.

სამთა საბჭო, ორლანდოს არ ყოფნის დროს, არჩევდა კითხვას ფიუმეს შესახებ, ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ იტალიელებით დასახლებული ნაწილი უნდა გადაეცეს იტალიის ხელში და სლავებით დასახლებული კი—სლავების ხელში.

აღიძრა საკითხი კიაო-ჩაოს შესახებ. ამერიკელები მოითხოვენ ეს პორტი ჩინეთს დაუბრუნდეს.

არის ცნობები, რომ ვენაში უწესოება ხდება.

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ოთხთა საბჭოს კრებაზე მწვავე კამათის შემდეგ, იტალიის მოთხოვნილებების გამო, ვილსონმა ირჩია წასვლა. საიდუმლო სხდომაზე სცდილობდნენ შეთანხმებას. ვილსონმა თავისი შეხედულებები განაცხადა, მაგრამ ორლანდომ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ვილსონმა აღნიშნა, რომ ამერიკის ჯარებმა ლონდონის ხელშეკრულების დასაცავად კი არ დაიწყეს ომი, რამაც უფრო მწვავე კამათი გამოიწვია. გადაწყდა, რომ მეორე დღეს შეკრებილიყვნენ კლემანსო, ორლანდო და ლლოიდ ჯორჯი, ვილსონი კი ამ ბჭობაში მონაწილეობას არ მიიღებს.

გუშინ სადამოს საფრანგეთის პარლამენტში კამათის დროს აშკარად იყო გამოთქმული, რომ შესაძლებელია საფრანგეთი მიიღებს ფინანსიურ კატასტროფამდე.

ოთხთა საბჭომ გუშინ განიხილა ჰელიგოლანდის საკითხი და, როგორც გადმოსცემენ, მიიღეს დადგენილება კუნძულის განიარაღების და სიმაგრეების მოსპობის შესახებ.

ლოიდ ჯორჯი დღეს ლონდონიდან პარიზში გაემგზავრა. მას თან გაყვნენ გრაფი კერზონი, ვაკონტი მილნერი და ინგლისის ბანკის დირექტორი ლორდ კანლიფი.

პარიზის „ეკო-დე3 “ იტყობინება: ამერიკის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, რომ ხალხთა ლიგას სომხეთის დაცვის უფლება მისცეს.

დიუსელდორფში გაფიცვა იზრდება. გაფიცულები მოითხოვენ ქალაქიდან მოკავშირეთა ჯარის გაყვანას.

კიოლნის ოლქში გუშინ ფირმის მოსამსახურენი გაიფიცნენ, რის გამოც რეინის ოლქში მყოფ ბრიტანეთის ჯარის მთავარ სარდალმა ჰერბერტ პლუმერმა ბრძანება გასცა, რომ დაუყოვნებლივ განაახლონ მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკ ზომებს მიმართავენ მათ წინააღმდეგ, ვინც ბრიტანეთის ფარგლებში რაიმე სახით დახმარებას გაუწევს გაფიცულებს. პლუმერი წინადადებას იძლევა, რომ, თუ სხვა ზომამ მიზანს ვერ მიაღწია, ინგლისის სამხედრო ადმინისტრაცია ჩაერევა საქმეში.

ორშაბათს შესდგა [illegible] საბჭოს მე-12 სხდომა. ვინაიდან აღიძრა პრინციპიალური საკითხი, ფულის ნაწილის ბელგიის შესახებ, გადასწყვიტეს წინადადება მისცენ ბელგიის მთავრობას, რათა მან თავისი წარმომადგენლები დანიშნოს საბჭოს და მის სექციების სხდომებზე დასასწრებლათ. საბჭომ მოიწონა გადაწყვეტილება, რომ ის ზღვებში ნედლი მასალა, რომელიც ზავის შეკვრამდე მოკავშირეებს ეკუთვნის გაიყოფის საგანგებო კომიტეტის მიერ ფინანსიურ და სექციებთან ერთად შემუშავებულ საერთო საფუძვლებზე.

გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის სახავო დელეგაციაში შევა ბერნის ელჩი დოქტორ ადოლფ მიულერის მაგივრათ პრუსიის პარლამენტის პრეზიდენტი ლეინერტი.

რიგაში შიმშილობის ნიადაგზე გამეფებულია სრული ანარქია. ქალაქი ბრბოს ხელშია. აუარებელი ხალხი იხოცება შიმშილით ქუჩებზე. სურსათი ძლიერ ნაკლებია ქალაქში და რაც არის, დიდ ფასებში იყიდება.

შვეციის სახალხო განათლების მინისტრმა შემდეგი განაცხადა „ხალხთა ლიგის“ შესახებ: ჩვენ, სოციალდემოკრატები, დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ხალხთა ლიგას. ვილსონის პროგრამა გახდა შემაერთებლად მათი, ვისაც მართალის გულით სწამს და სურს დამყარდეს ხალხთა სოლიდარობა და მშვიდობიანობა. მუშათა კლასი არ დამშვიდდება, ვიდრე არ განხორციელდება ხალხთა ლიგა. თუ ხალხთა ლიგა არ განხორციელდა, მატარა ერების მდგომარეობა მეტად სახიფათო იქნება. ხალხთა ლიგის დროს იქნებოდა ანტერნაციონალური ძალა, რომლის მიზანიც იქნებოდა წვრილ ერების დაცვა.

გენერალ მარკერის მოლაპარაკება ბრაუნშვეიგის სახალხო კომისრებთან შეუწყდა. ბრაუნშვეიგის სახალხო საბჭომ არა ერთხელ მიმართა მოწოდებით მცხოვრებლებს ჩაებარებინათ იარაღი. უკანასკნელ დღეებში ბევრმა მუშებმა ჩააბარეს იარაღი საბჭოს. ზოგიერთმა გადაუშვა იარაღი და წყალში ჩაყარა.

17 აპრილს ყოფილი ბერლინის პოლიციის უფროსი ეიხჰორნი ბერლინიდან გაიქცა.

ბრაუნშვეიგში საალყო წესები გამოცხადდა.

წითელი დროშები ლახსნეს გენერალ მარკერის ჯარისკაცებმა და სამაგიეროთ ბრაუნშვეიგის და გერმანიის დროშები გამოკიდეს.

სადღესასწაულო მილოცვაში ებერტი სწერს ნაციონალურ საკრებულოს, რომ გერმანიის ხალხი მოაწერს ხელს ისეთ ზავს, რომელიც არ შეუშლის ზრდას და განვითარებას. ჩვენ შევასრულეთ ყოველივე დროებითი ზავის პირობები, მოვახდინეთ ჯარის დემობილიზაცია, სამხედრო ტყვეები გავუშვით, მაგრამ ზავი ჯერ არ არის. ბლოკადა ჯერ არ გათავებულა, ხალხი დაშინებულია და ყველა ამას შედეგი თვით ჩვენ მტრებსაც დაატყდება.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ლიონი, 20 აპრილი. კითხვა რუსეთის შესახებ იღებს ახალ კრიზისის ხასიათს მოკავშირეებში. იტალია ძალიან აღელვებულია. ამერიკის ჯარები სტოვებენ იტალიას, რადგანაც მცხოვრებლები წინააღმდეგნი არიან უცხო ჯარების ბანაკში დატოვების. აპრ. 16, მთელი მიუნხენი კომუნისტების ხელშია. ბავარიის ადმ. კომიტეტი ლუდენის თავმჯდომარეობით. მიუნხენის გარნიზონი კომუნისტების მხარეზე გადავიდა. ახალმა კომენდანტმა ბურჟუაზიისაგან ძალიან მკაცრი განკარგულებანი გამოსცა. პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ყოველგვარი მოძრაობა შეუძლებელი გახდა.

ფრანგული პრესის ცნობები.

ვილსონმა დღეს, საღამოთი ნოტით დაადასტურა, რომ გერმანიის რწმუნებულთა ვერსალში მოწვევა აპრილის 25-თვისაა დანიშნული.

ბერლინიდან მიღებული დეპეშები იტყობინებიან, რომ მიუნხენში უწესოება იზრდება. სოციალისტური და კომუნისტური მთავრობა ერთმანეთს იარაღით ებრძვის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. დიუსელდორფში და დრეზდენში მდგომარეობა ასეთივეა. დრეზდენში აჯანყებულებმა ერთი მინისტრი მოჰკლეს.

ახალი ამბები

◆ 900 ათასი მანეთის მოთვისება. ამ დღეებში თფილისში ჩამოვიდნენ აზერბეიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ამხანაგი თეიმურ-ბეგ მაკინსკი, მინისტრთა თავმჯდომარის კანცელარიის დირექტორი რაშიდ ბეგ იზმაილოვი და ექიმი მაზიდ განი-ზადე. მათ დავალებული ჰქონდათ თფილისის სახელმწიფო ბანკიდან 900,000 მან. მიეღოთ. ფული აზერბეიჯანის მთავრობის მიერ გადაცემული იყო სამხრეთ დაღესტნის აზერბეიჯანის ლტოლვილთა დამხმარე ორგანიზაციის მოსაწყობად. აღნიშნული თანხა ხაზინიდან მიიღეს 17 აპრილს. იმავე დღეს ეს თანხა თავის ბინაზე (სასტუმრო ორიანტში) წაიღეს. შენახული ფული უკვალოდ დაიკარგა. 18 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, საგანგებო რაზმის უფროსს უბრძანა ცნობილი ზომების მიღება დაკარგულ თანხის აღმოსაჩენად. გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ფულის მითვისება განიზრახავთ თვით დირექტორისა და მის მსახურს, რომელთაც ფული სასტუმროს დერეფანში დაუმალავთ. საგანგებო რაზმის უფროსმა [illegible] დააპატიმრა.

◆ მკვლელობა. აპრილის 20-ს ღამით სასამართლოს ქუჩაზე მცხოვრებ მესასტუმროეთა და მერესტორანეთა ბიუროს თავმჯდომარეს ს. გიგიბერიას სახლში შეუცვივდნენ და რევოლვერის ოთხი ტყვიით მოჰკლეს.

◆ ბავშვის გატაცება. 1 აპრილს ბოროტ განზრახველებმა გაიტაცეს რტიშჩევის ქუჩიდან № 7 მოქალაქე პეტრე ბარათაშვილის 12 წლის ქალი. საგანგებო რაზმმა მიიღო სასწრაფო ზომები და აღმოაჩინა, რომ გატაცებული ქალი მიუყვანიათ სადგურის ქუჩაზე ყოფილ მილიციონერ ასლანოვის ბინაზე. ბავშვი დაუბრუნეს, დამნაშავენი ასლანოვი, მოსე მატევოსოვი და არამ ოსიპოვი დაიჭირეს და ამ ჟამად მეტეხის ციხეში იმყოფებიან. როგორც გამოირკვა, ბავშვი გაიტაცეს იმ მიზნით, რომ მშობლებისათვის გამოერთმიათ 500 ათასი მანეთი.

◆ ინგლისელი ექიმის მოკვლა: აპრილის 20 ღამით მიხეილის ქუჩაზე სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ ქალებთან ერთად მიდიოდა ინგლისელი ექიმი. მათ თავს დაესხა რამოდენიმე ბოროტ მოქმედი და შეათრიეს სასწავლებლის ეზოში, სადაც მოჰკლეს ექიმი. დამნაშავეთაგან სამი უკვე შეიპყრეს.

— მკვლელობა. აპრილის 17 საღამოს სადარაჯოზე მყოფმა მილიციონერმა გოგიჩაძემ რევოლვერით მოჰკლა უცნობი პირი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ინგლისის საინტენდანტოს კონტრაგენტის ბარახითვის გაძარცვას აპირებდა.

◆ ახალი პროგრამა. განათლების მინისტრის ამხანაგის ნ. ცინცაძის წინადადების თანახმად შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ახალი პროგრამა უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ. კომისიაში შედიან საშუალო პირველ დაწყებითი სასწავლებლების დირექტორები და ინსპექტორები.

◆ თავდასხმა. აპრილის 18 ღამით მატინოვის ქუჩაზე ბოროტ მოქმედნი თავს დაესხნენ აზერბეიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ამხანაგს მაკინსკის და წაართვეს 80,000 მანეთი და ოქროს საათი.

◆ ილია ნაკაშიძის მოხსენება. კვირას, საღამოს 7 ნახევარ საათზე ქართული კლუბის დარბაზში ილია ნაკაშიძე წაიკითხავს მოხსენებას საქართველოს დელეგაციასთან ევროპიში თავის მოგზაურობისა და ევროპის ხალხთა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

◆ სახალხო სახლი. სახ. სახლ. არტისტულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „უდანაშაულოდ დამნაშავენი“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ „ერთობის“ ოთხმოცდახუთე ნომერში მოთავსებულ ანგარიშში ნათქვამია, თითქოს ბირჟაზე მუშების საერთო რიცხვი 1200 იყო, ნამდვილათ კი—ბირჟაში ირიცხება 1020 მუშა. მუშათა ხელფასი 1000—1700 მანეთამდე აღის მხოლოდ შუშის ქარხანაში, სადაც „აკორდით“ მუშაობენ. აქაც ხსენებულ ხელფასს ღებულობენ არა ყველა მუშები, არამედ—მხოლოდ სპეციალისტები.

კრებები

დღეს, საღამოს 6 საათზე ბიჭვის ბინაზე შესდგება საქართველოს ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

—დღეს, 24 აპრილს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია მე 6 რაიონის კოლექტივის მორიგი კრება.

— დღეს, შუადღის 4 საათზე, საკუთარ ბინაზე შესდგება მე-6 რაიონის ახალგ. წარმ. ორგანიზაციის მორიგი მეცადინეობა.

— ხუთშაბათს, სად. 6 საათზე, ვერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზში დანიშნულია მე-4 რაიონის წევრთა მეორე საზოგადო კრება. განსახილველია სარევიზიო კომისიის მოხსენება, რის შემდეგ დამფ. კრების წევრ ამხ. პ. საყვარელიძის მიერ გაკეთებული იქნება მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება კანონიერათ ჩაითვლება მოსულდამდეთ წევრთა რიცხვისა.

— დღეს, 24 აპრილს სად. 5 საათ. შესდგება მესამე რაიონის კოლექტივის კრება. რომელნიც არ უნდა გამოცხადდეს წევრები კრება კანონიერად ჩაითვლება.

დამფუძნებელი კრება

17 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ივ. ქავჟანიძის მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ-პროექტი ამიერ-კავკასიის ბონების გამოცემის გაგრძელებისა. კანონ-პროექტის ძალით მთავრობას ნება ეძლევა გამოსცეს ამიერ-კავკასიის ბონები საქართველოს რესპუბლიკის საჭიროებისათვის კიდევ 100 მილიონ მანეთისა. შესაფერი თანხა მიეცემა აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებს, როცა დასახელებულ რესპუბლიკათა მთავრობანი ხელშეკრულებას დასდებენ საქართველოს მთავრობასთან.

ქავჟანიძისვე მოხსენებით მიღებულ იქნა კანონპროექტი სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციისთვის საწარმოო იარაღების და მასალების შესაძენად ერთი მილიონი მანეთის გადადებისა.

იურიდიული კომისიის დადგენილების შესახებ მოხსენებას აკეთებს დ. ონიაშვილი. დამფუძნებელ კრების დავალებით იურიდიულმა კომისიამ აპრილის 15-ს განიხილა საკითხი, თუ რა მსვლელობა უნდა მიეცეს დამფუძნებელ კრების სახელზე შემოსულ თხოვნებს, რომელნიც გულისხმობენ სასამართლოს განაჩენის შეცვლას. იურიდიულმა კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ ყველა ასეთი თხოვნები დამფუძნებელ კრების მიერ განუხილველი რჩება. ამ დადგენილებით, რა თქმა უნდა არ ისპობა მოქალაქის უფლება მიმართოს შეწყალების თხოვნით სახელმწიფოს უმაღლეს წარმომადგენელს. ასეთი უფლება ეკუთვნის მოქალაქეს არა მარტო რესპუბლიკანურ სახელმწიფოში, არამედ საკონსტიტუციო მონარქიაში. იურიდიული კომისია გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ შეიმუშავოს დაჩქარებით კანონ პროექტი, სადაც აღნიშნული იქნება ზემოდ აღნიშნულ თხოვნების გარჩევისა. გარდა კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დამფუძნებელი კრება არ უნდა არჩევდეს ასეთ თხოვნებს. დამფუძნებელი კრება უმაღლესი კანონმდებლობითი ორგანოა და ასეთი საქმეების გარჩევა ხელს შეუშლის და შეაფერხებს მის საქმიანობას.

ი. გობეჩია (სოც.-რ.) წინააღმდეგია დადგენილებისა და მოითხოვს დამფუძნებელ კრებამ გამოყოს კომისია, რომელიც თხოვნებს გაარჩევს.

გ. გვაზავა (ნ. დ.) წინააღმდეგია იურიდიული კომისიის დადგენილების:

ა. ზარათაშვილი (ს. ფ.) მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის საქმეების უკანასკნელ ინსტანციათ დამფუძნებელი კრება იყოს.

ტ. ნინიძე ამტკიცებს, რომ დამფუძნებელ კრებას არ შეუძლია თხოვნების განხილვა. ვინც იწყნარებს, იმან აუცილებლად უნდა იცოდეს საქმის მდგომარეობა, ამის გაგება კი გამოძიებას და მოწმეების დაკითხვას გულისხმობს. ამიტომ ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს იურიდიული კომისიის დადგენილებას.

იურიდიული კომისიის დადგენილება მიღებულ იქნა

მთავრობის განცხადება.

ევ. გეგეჭკორი. მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო. საქართველოს მთავრობამ ბრძანება მისცა სოჭის ფრონტზე მდგომ ჩვენ ჯარებს გადალახონ მდინარე ბზიფი დაიკავონ გაგრის ოლქი და სტრატეგიული ჩვენი პუნქტი მდინარე მეხადირი. ხელ მეტია თქვენს წინაშე ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ნაბიჯი ფრიად საპასუხისმგებლოა. მაგრამ მთავრობას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ის სთვლის თავის თავს მოვალედ ქვეყნის და რესპუბლიკის წინაშე, რომ ეს ნაბიჯი გადადგას. მე მინდა ეხლა მხოლოდ შევაჩერო თქვენი ყურადღება იმაზე თუ რა პირობებში მოხდა ეს და რამ აიძულა მთავრობა მიეღო ეს გადაწყვეტილება. თქვენ იცით რომ სოჭის ფრონტის ისტორია ხანგრძლივია. მას აქვს სამი თვის ისტორია. თქვენ გახსოვთ ძალიან კარგად, რომ მიუხედავად იმისა რომ საქართველოს მთავრობას ჰქონდა სიტყვიერი და წერილობითი გარანტია მოკავშირეთა სარდლობის მიერ მიცემული, რომ დენიკინის ჯარები არ გადმოილახავენ სოჭის ოლქს, მიუხედავათ ასეთ გარანტიისა, მაინც დენიკინმა და მისმა შტაბმა, ჩვენ ამას თამამად ვლაპარაკობთ, მოაწყო აჯანყება სოჭის ოლქში, იარაღებული ძალით და განდევნა ჩვენი ჯარები. მან დაიკავა სოჭის და გაგრის ოლქები და მიადგა მდ. ბზიფამდე. სწორედ ამ დროის აქ ჩვენ გვქონდა უკვე საქმე აქტიური ჩარევასთან ინგლისის მხრივ და ინგლისელებმა ჩვენ და მოხალისე ჯარის შორის თავისი პიკეტები ჩააყენეს და მისთან განუცხადეს საქართველოს მთავრობას, რომ ისინი ამ საკითხს მოაგვარებდნენ დიპლომატიური გზით. მე მოგახსენებთ, მოქალაქენო, იმასაც, რომ სწორედ ორი თვის წინ სტამბოლის სარდლობამ გენ. მილნის სახით გვამცნო ჩვენ და მთელ ქვეყანას, ვიტყვი მე, რომ მან მისცა კატეგორიული ბრძანება დენიკინის შტაბს სოჭის ოლქი დაეცალა, მაგრამ განვლო ორმა თვემ და ეს დაპირება მხოლოდ დაპირებით დარჩა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ სიტყვიერათ და წერილობით გვესმოდა ინგლისელებიდან, რომ ეს საკითხი დიპლომატიური მოლაპარაკებით გათავდებოდა და საქართველოს მთავრობას მიეცემოდა საშუალება დაეჭირა ის საზღვრები, რომელსაც მას მიაჩნია სტრატეგიულ საზღვრებად, ე. ი. მეხადირი. სოჭის ოლქის შესახებ კი უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ჩვენ მართალიც ჩვენ პრეტენზიებზე ხელს არ ვიღებთ, მაგრამ სოჭის ოლქის ბედი ეხლა მიგვაჩნია საკითხად პარიზის კონფერენციისა და ეხლა კი იმ დრომდე, სანამ ეს საკითხი გადასწყდებოდეს ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია დაგვეჭირა ის საზღვრები, რომელიც ერთნაირად უზრუნველ-ჰყოფენ ჩვენს [illegible] მტრის შემოსევისაგან. მაგრამ, როგორც იცით, მოქალაქენო, ეს საკითხი დიპლომატიური გზით არ მოგვარდა და მთელი სამი თვის განმავლობაში ჩვენი ჯარი იდგა ერთ და იმავე ადგილას. მთელი სამი თვის განმავლობაში ჩვენ აქედან ვაწვდიდით ცნობებს, რომ ეს საკითხი დიპლომატიური წესით მოწესრიგდება და არავითარ შეტევაზე ლაპარაკი არ უნდა იყოს. თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ თუ რა პსიხოლოგიური ატმოსფერა შექმნიდა ეს ჩვენს ჯარებში. თქვენ იცით, რომ მოლოდინი, რომელშიაც სამი თვის განმავლობაში იყო ჩვენი ჯარი, ხელს შეუწყობდა ჩვენი ფრონტის დეზორგანიზაციას, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს გამოცდაც კი მშვენივრად დაიჭირა ჩვენმა გვარდიამ და ჯარმა და მის დეზორგანიზაციაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ყოველთვის უნდა ჰქონდეს დასასრული, და საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ ასეთი დასასრული სწორედ დღეს უნდა მიეცეს. ჩვენ გვქონდა ამისი უფლება, მე მეტს ვიტყვი—ეს იყო ჩვენი მოვალეობა რესპუბლ. წინაშე. უნდა ვამცნო დამფუძნებელ კრებას, რომ 9 ამ თვისას უკვე დაიწყო აჯანყება სოჭის ოლქში, ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ამ აჯანყებამ მიიღო მასიური ხასიათი. მთელი ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, აჯანყდნენ მოხალისეთა ჯარების ნაწილების წინააღმდეგ. ამავე დროს იმასაც უნდა გაუსვა ხაზი, რომ განსაკუთრებული რეპრესიული ზომებს მოხალისეთა ჯარის შტაბი ღებულობდა ადგილობრივ ქართველობის მიმართ და როგორც ამას ჩვენ ვტყობილობთ სოჭის მოხალისეთა ჯარის უფროსის ოფიციალური განცხადებისაგან, აჯანყებულთა მეთაურათ ქართველობა მიაჩნიათ. დაისვა ჩვენს წინაშე შემდეგი კითხვა: როგორ უნდა მოქცეულიყო ამ პირობებში საქართველოს მთავრობა? ჰქონდა თუ არა მას უფლება დაეცადა კიდევ? მთავრობამ ეს კითხვა უარყოფითად გადასწყვიტა შემდეგი მოსაზრებით. თუ გინდაც დაეჯერებინა მოხალისეთა ჯარის შტაბის განცხადება, რომ იქ სოჭის ოლქში სწარმოებს ბოლშევიკური მოძრაობა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმის ცდა თუ რითი გათავდებოდა ეს შებრძოლება აჯანყებულებითა და მოხალისეთა შორის, ჩვენ ამ ცდის უფლება არ გვქონდა, რადგანაც ჩვენ არ გვეჭირა ისეთი საზღვრები, რომელიც გვაძლევდენ გარანტიას, რომ ჩვენი რესპუბლიკა უზრუნველყოფილი იქნებოდა თავდასხმისაგან. გაიმარჯვებდა მოხალისეთა ჯარი თუ ბოლშევიკები, ჩვენთვის ამ შემთხვევაში ერთი და იგივე იყო. ჩვენთვის საფრთხე მაინც რეალური იყო, რადგანაც ვიმეორებ, რომ ჩვენთვის სასურველი სტრატეგიული საზღვარი პუნქტი არ გვეჭირა. იმავე

ცრის ისიც უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ შებრძოლება ბოლშევიკური და მოხალისეთა ჯარისა გზლა თან და თან ფართო ხასიათს ღებულობს და (წერილდ იქ), სადაც ჩვენთვის გზლა საფრთხე მეტად საგრძნობელია ვიდრე ლევენდელმად იყო, რადგანაც ეს საფრთხე თანდათან ჩვენსკენ მოიწევს და ამ დროს საქართველოს მთავრობას, რასაკვირველია, არ შეეძლო უცდელად ამის წინაშე დადგომა, და არ დაეკავა ის პუნქტი, რომელიც მას სტრატეგიულად საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნია, და ამიტომაც მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მიიღო. დღეს დილით უკვე მოხდა გადასვლა მდინარე ბზიბზე. ამასთან უნდა აღვნიშნოთ თქვენს წინაშე, რომ იქ მდგომ ინგლისის ჯარისკაცებთან არავითარი შეტაკება არ მომხდარა. ჩვენი ჯარი უკვე გადავიდა მდ. ბზიბზე, წაიწია წინ და დღეს თუ ხვალ დაიკავებს იმ საზღვრებს, რომელიც უზრუნველყოფენ ჩვენ რესპუბლიკას (ტაში). მე მგონია, მოქალაქენო, რომ ამ საშიშროების მომენტის დროს მთელი ჩვენი ხალხი ერთსულოვნად, ისე, როგორც წინათ, ფეხზე დადგება და შეეცდება შეებრძოლოს ყოველნაირ საფრთხეს, არის ეს საფრთხე მოხალისეების რეაქციისა, თუ ბოლშევიკების ანარქიისა. და სწორედ ამ იმედით, ამ ხალხის თანაგრძნობით, ჩვენი დემოკრატიის ერთსულოვნებით ჩვენ გადავდგით ეს ნაბიჯი და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მთელი ხალხი ერთსულოვნად დაიცავს ჩვენ რესპუბლიკას და თავისუფლებას (ტაში).

თავმჯდომარე. გსურთ თუ არა ამ განცხადების განხილვას ეხლავე შევუდგეთ? ვინ არის წინააღმდეგი? წინააღმდეგი არავინ არის. მაშასადამე, განცხადების განხილვას ეხლავე შევუდგებით. ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის არსენიძეს.

არსენიძე. მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას არა აქვს სიყვარული სისხლის ღვრისა, არც სამოქალაქო ომებისა და არც საგარეო ომის წარმოებისა. საქართველოს რესპუბლიკას, მის დემოკრატიას და ამ დემოკრატიის ნდობით აღჭურვილ მთავრობას ყოველთვის და ყველგან ერთი მიზანი ასულდგმულებდა. ეს მიზანი იყო დაცვა თავის საზღვრებისა და ამასთანავე შენარჩუნება მშვიდობიანობისა და კეთილ განწყობილებისა ყოველ თავის მეზობლებთან. მაგრამ ერთია სურვილები და მეორეა მისი განხორციელება. ჩვენ ასეთ განზრახვებს, ხშირად სისუსტით სჩნევდნენ და ეგონათ, რომ ის, ვინც მოითხოვს ზავს, უეჭველად უნდა იყოს დამარცხებული და ვინც მიისწრაფის ერთი მშვიდობიანობისაკენ, ვისაც სურს სოციალიზმი ხალხთა შორის, კეთილი მეზობლური განწყობილება, ალბად ამას სჩადის თავის უძლურობის, თავის სისუსტის გამო,—აი ასეთი იყო საერთოდ აზრი იმ ჯგუფებისა და წრეებისა, რომელთაც გარეშე იმპერიალისტური ზრახვებისა, ფერადფერი წარმოდგენით, რომელთაც ჰგონიათ, რომ ცხოვრება მდგომარეობს იმაში, რომ ძლიერმა გადაყლაპოს, შთანთქოს, შეჭამოს უფრო სუსტი. მაგრამ საქართველოს დემოკრატიამ თავის არსებობის მოკლე ხანში, რადგანაც იგი სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკას, არა ერთხელ დაამტკიცა ხრმლით წინააღმდეგი: არა ერთხელ და ორჯერ ასეთი თავდასხმები მოუგერიებია, დაუმარცხებია, შეუმუსვრია. და არც ერთხელ იგი თავდამსხმელის როლში არ გამოსულა. და მთავრობამ ჩვენი რესპუბლიკისა და საკანონმდებლო დაწესებულებამ არ მიუცია დასტური იმისა, რომ ჩვენი ჯარი, ჩვენი გვარდია, ჩვენი შეიარაღებული ძალა მიეგზავნათ სხვა ქვეყნების დასაპყრობისაკენ, სხვა რომელიმე დემოკრატიის შევიწროებისაკენ, და სხვა რომელიმე ერის, ხალხის დაჩაგვრისაკენ. ასეთი მიზანი არ ჰქონია დღემდის და არც დღეს აქვს ჩვენს მთავრობას. ამ განცხადებიდან, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ აქ, ნათლად, აშკარად სჩანს ერთი რამ: სახელდობრ ის, რომ ძალდატანება, რომელიც იხმარა ჩვენი რესპუბლიკის და მისი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მოხალისეთა სარდლობამ, ეს ძალდატანებაც კი ითმინა ჩვენმა მთავრობამ მთელი თვეების განმავლობაში. მან ბევრი ეცადა, ყოველი საშუალება მიიღო, ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ ეს საკითხი მშვიდობიანობის გზით, სისხლის დაუღვრელად გადაეჭრა, და მხოლოდ ყველა ღონისძიების ამოწურვის შემდეგ, როდესაც დაიკარგა ყოველი იმედი მოხალისეთა ჯარებისაგან ჩვენ საზღვრების განთავისუფლებისა, ის იძულებული გახდა იარაღისათვის მიემართა. სხვაგვარად არც შეეძლო. სადაც სიტყვა არ სჭრის, იქ საზოგადოდ უნდა ალაპარაკდეს ხმალი. ეს არის უკანასკნელი საშუალება. სხვა უკანასკნელი საშუალება ამის გარეშე, სხვა უკანასკნელი არგუმენტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მოიპოვება. ჩვენ არა გვაქვს არც საერთაშორისო ტრიბუნალი თავისი აღმასრულებლით, ძალდატანებით ზომებით და არც სხვა რამ ასეთი. მაშასადამე, დაგვრჩენია ერთად ერთი გზა: რადგანაც უსამართლო ხმლით, იარაღით დაგვეტაკებიან თავზე და მოისურვებენ ჩვენ შევიწროვებას, ჩვენ განადგურებას, ჩვენ მოსპობას, ჩვენც იძულებული ვართ მთელი ჩვენი ძალ ღონე გამოვიყენოთ, რომ ეს ძალმომრეობა თავიდან ავიცილოთ. სწორედ ასეთი ხასიათი აქვს იმ განკარგულებას მთავრობისას, რომ ჩვენმა ჯარმა ბზიბის ნაპირებიდან წინ წაიწიოს იმ მიზნით, რომ დაიკავოს ის საზღვრები, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უდავო ნაწილად არის ცნობილი და რომელსაც თვით ჩვენი მოპირდაპირე ამ ცამდე იქ მდგომი, საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად სთვლიდა. აი ასეთი განხილვით მდგომარეობა, არსებითი მხარე ამ საკითხისა. ჩვენ არ შეგვიძლიან სხვაგვარად შევხედოთ ამ საკითხს, ვერც სხვა რომელიმე ძალა, ვინ და პოლიტიკური მიმართულება განიხილავს ამ საკითხს სხვა გვარად, რამე სხვა თვალთახედვით. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი გარემოება, დამატებით ეს ის რომ, ამ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს საქმე არა რაიმე სახელმწიფოებრივ ერთეულთან, არამედ რაღაც სრულიად განსაკუთრებულ კრებულთან, რომელიც ამ შემთხვევაში არ გვევლინება არც სახელმწიფოებრივ იდეად, არც ეროვნობად რომელიმე ერის და ხალხის ან კლასის საზოგადოებისა, ან სხვა რაიმე გარკვეულ ერთეულად. აქ ჩვენ გვაქვს საქმე მხოლოდ შეიარაღებულ ძალასთან, მხოლოდ ჯართან, რომელსაც თავის ტერიტორიად სთვლის ყველა იმას, რასაც დაიპყრობს, და რომელიც თვითონ აცხადებს თავის თავს მხოლოდ მოხალისეთა ჯარად და იმავე დროს ხელისუფლებად აცხადებს, მთავრობად ხდება იქ, სადაც ფეხს შედგამს. ეს ერთეული, რაღაც გარდამავალი, უნებური, ისტორიაში არ ყოფილი მოვლენაა, ვინაიდან ის ქვეყნები საიდანაც მოდის ეს ჯარი, შეიცავს სხვა მთავრობას, ყუბანის მთავრობას. ყუბანის მთავრობა საქართველოს ომს არ უცხადებს, ხოლო მოხალისეთა ჯარი კი საომრად მოდის. ცხადია, ეს მოხალისეთა ჯარი ამ შემთხვევაში, განსხვავებით ყუბანის მთავრობისაგან ეს არც არის, მართალია რეაქცია—რევოლუციის ტალღებზე წარმოშვა ეს გაუგებარი ერთი შეხედვით მოვლენა, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებლებს, ადგილობრივ მკვიდრებს, რომელთაც შექმნეს ყუბანის ერთეული, სრულიად არ სურთ მტრობა, ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ხოლო მოხალისეთა ჯარი, რომელიც იმავე ტერიტორიაზე სცხოვრობს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რეაქციონერი მაღლებისაგან და გენერლებისაგან არის შემდგარი, ეს ძალა თავის თავად თავის საკუთარ იარაღზე და ხიშტზე დაყრდნობილი, მოდის და იპყრობს საქართველოს საზღვრებს. და ეს არის განსაკუთრებული თვისება ამ უკანასკნელი ბრძოლისა და შეტაკებისა. ცხადია, გასაკვირველი არ არის, რომ ასეთ ძალასთან მოლაპარაკებამ არ გასჭრა, მასთან მშვიდობიანობის და ზავის ენა არ გაუგია, ვინაიდან ეს ხალხი წარმოადგენს არა რაიმე პასუხისმგებელ ერთეულს სახელმწიფოს და ხალხის წინაშე, არამედ შეიარაღებულ ძალას, რომელიც თავის იარაღით მოდის და იპყრობს ქვეყნებს, არბევს, სძარცვავს, და ამ ნადავლით სცხოვრობს. არსებითის წყარო ამ ჯარისა ეს არის, რომ დაიპყრობილი ადგილები დაარბიოს და იქიდან ამოღებულ ქონებით თავის თავი ასაზრდოოს. და აი სწორეთ ამიტომ შეტაკება ამ ჯართან აუცილებელი შეიქნა, აუცილებელი გახდა. შეიძლება ბევრი მსხვერპლი შეეწიროს ჩვენ ჯარისაგან, ჩვენი გვარდიისაგან, ამ ბრძოლაში, მაგრამ მაინც საჭიროა, მაინც აუცილებელია ამ ბოროტი ძალის თავიდან მოშორება, ვინაიდან არ ყოფილა არც ერთი მხარე, სადაც ჩაიჭრა მოხალისეთა ჯარი, რომ თვით იქაური მცხოვრებლებში აჯანყება არ გამოეწვიოს. ვერ ნახავთ ვერც ერთ კუთხეს, სადაც გამოჩენილიყოს სისხლი არ აღეგზნოთ მათი შესვლისა, იქ ყოფნისა და მათი იქიდან წასვლის დროს. ამ ჯარის ჩამოშორების შემდეგ ჩვენ საშუალება მოგვეცემა უფრო მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ იმ მხარეს, იმ ნაწილებთან ადგილობრივ ინტერესების მიხედვით შექმნილ რესპუბლიკებს, რომელთა ტერიტორიაზე ასე თავისუფლად და თამამად დათარეშობენ მოხალისეთა ჯარები. მე იმედს გამოვსთქვამ ამ ტრიბუნიდან, რომ ეს შეტაკება არ იქნება ყუბანის რესპუბლიკასთან გაგებული, როგორც შეტაკება ყუბანის მთავრობასთან. ჩვენ შეგვიძლიან თამამად განვაცხადოთ არავითარი გასაყოფი, სადავო ჩვენ არა გვაქვს... (ხმა: ყუბანის) არც ყუბანთან, არც ყუბანის ყაზახებთან, არც ყუბანის მთავრობასთან არა გვაქვს. ჩვენ, ამ შემთხვევაში, ვებრძვით მხოლოდ მოხალისეთა რეაქციონერ ჯარს და ვცდილობთ მისი თავიდან მოშორებას ისე, როგორც მისი თავიდან მოშორება სურთ ყოველ, წესიერ რიგიან და საერთოდ ყუბანის მცხოვრებლებს.

თ. გოგიჩია. (ს. რ.) ჩვენი ფრაქცია მხარს დაუჭერს მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში, მაგრამ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მთავრობამ დამფუძნებელი კრების დაუკითხავად ომი გამოუცხადა მოხალისეთა ჯარებს. როგორც ვიცით მთავრობა ომის გამოცხადებისთვის უთათბირდება ხოლმე ფრაქციასთან, ჩვენთვის კი ეს მოულოდნელი იყო, თუ იქ ბოლშევიკური მოძრაობაა, მაშინ ჩვენ ბოლშევიკების წინააღმდეგ არ ვიბრძოლებთ.

თ. ღლონტი. (ს. ფ.) ჩვენი ფრაქცია მოხალისეთა ჯარებთან ბრძოლაში მთავრობასთან ერთად იქნება და ყოველ ღონეს ამ საქმეს მოახმარს. თავისთავად სურვილს გამოსთქვამს, რომ მთავრობა არ შეჩერდება მდ. მზიმთაზე და იბრძოლებს მანამ, სანამ არ მოსპობს რეაქციონერ ბანდებს.

გ. გვაზავა. (ერ. დემ.) თავის ფრაქციის სახელით მთავრობას აღუთქვამს სრულ დახმარებას მოხალისეთა ჯარებთან ბრძოლაში.

ევ. გეგეჭკორი. მე უნდა მოგახსენოთ მოქალაქენო, რომ სრულიად არ მოველოდი ამ არგუმენტაციას, რომელსაც მე აქ შევხვდი დღეს; მოქალაქე გოგიჩიამ ბრძანა, რომ მთავრობამ თავის გადაწყვეტილებით და თავის ნაბიჯით დაარღვია პრეროგატივა დამფუძნებელ კრებისა; მართალიაც, მძიმე ბრალდებებია გაბედული! თუ საქართველოს მთავრობამ არამც თუ ეს, რაიმე ამის მსგავსიც კი არ ჩაიდინა, ასეთ მთავრობას არ აქვს უფლება და არც უნდა მისცეთ თქვენ უფლება ერთ წამსაც კი დაიკავოს ის სავარძლები, რომელზედაც იგი ზის. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ადვილი არის ბრალდების წამოსროლა, მაგრამ იმავე დროის, თუ მართალაც მოქალაქე ორატორი, დამფუძნებელ კრების წევრი აძლევს ანგარიშს თავის თავს და იცის მან თავისი უფლებები და იმავე დროს იცის, რომ უფლებებს თან ახლავს მოვალეობა, და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გოგიჩიამ ეს ძალიან კარგად იცის, მაშინ ასეთი ბრალდებებით გამოსვლა საჯაროთ მთავრობის წინააღმდეგ ყოვლად დაუშვებელია და სწორედ ასეთი გამოსვლები, ჩემი ღრმა რწმენით, ამცირებენ ამ ტრიბუნს და დამფუძნებელ კრებას. (არსენიძე: მართალია!). საქ. მთავრობამ მოულოდნელად ომი გამოაცხადაო. მე ვამტკიცებ თქვენს წინაშე, რომ არავითარი ამის მსგავსს ჩვენ მოქმედებაში ადგილი არ ჰქონია. დამფუძნებელ კრების წევრმა გოგიჩიამ სრულიად დაივიწყა მისცა ის ფაქტი, რომ ჩვენ დენიკინთან ფორმალურად უკვე სამი თვეა, რაც ომში ვიმყოფებით; სწორედ იმ წამს, როდესაც დენიკინმა შემოსევა დაიწყო სოჭის ოლქში, და როგორც მოგეხსენებათ, ვერაგულად ზურგში დაეცა ჩვენ ჯარს, საქართველოს მთავრობა, რესპუბლიკა, დამფუძნებელი კრება, მისი მთავრობა ომში აღმოჩნდა დენიკინის ჯართან (გოთოჩაძე: მართალია) და თუ ის, მოქალაქე ბატონი გოგიჩია წინაშე, თუ ეს ვერ შეუთვისებია მას დღემდე, მე ვფიქრობ, რომ ის ძალიან ცუდად და ზერელედ უყურებს თავის მოვალეობას და პასუხისმგებლობას. ჩვენ მხოლოდ სამხედრო მოქმედებას ფაქტიურად არ ვაწარმოებდით დენიკინთან. და თქვენ მოგეხსენებათ ორი თვის სიტყვით, თუ რისთვის არ ვაწარმოებდით. ჩვენი ჯარი, როდესაც დენიკინის ჯარი დადგა, მდინარე ბზიბზე, ჩვენი ჯარი უკვე იქ იდგა, მაგრამ სწორედ ამ დროს საქმეში ჩაერია ინგლისი და მან თავისი პუნქტები წაუყენა. ამას მე ვუწოდებ აქტიურ ჩარევას ინგლისისას ამ საქმეში. ამით ომი, რასაკვირველია, ფაქტიურად არ შეწყვეტილა, მხოლოდ შეჩერდა და ფაქტიურად არავითარი ახალი ომი, მე ვაცხადებ საჯაროდ ხალხის წინაშე, საქართველოს მთავრობას არ გამოუცხადებია და არც თავისუფლებაზე მას არ გადაუხვევია. მაგრამ, როდესაც დაიწყო ომის მოქმედების განახლება, მე ვფიქრობ, რომ ეს სწორედ მისი კომპეტენციაა, როგორც აღმასრულებელი ორგანოს და პასუხისმგებელის თქვენს წინაშე. ეს მის კომპეტენციას შეადგენს, მე ვამტკიცებდი და ეხლაც ვამტკიცებ, რომ მთავრობამ ამ მხრივ თავისი მოვალეობა შეასრულა და თავის უფლების რეალიზაცია გააკეთა მთავრობამ. გოგიჩია ბრძანებს, რომ ეს განცხადება ჩვენთვის მოულოდნელი იყოო, რომ ჩვენ მოველოდით, რომ ეს საქმე დიპლომატიური მოლაპარაკებით გათავდებოდა და ახლა ომთან საქმე არ გვექნებოდაო. იმ განცხადების შემდეგ, რომელიც ჩვენ წინათ მოგახსენეთ და გამოვაცხადეთ თქვენს წინაშე, რომ არც ერთი მთავრობის წარმომადგენელს, და კერძოთ მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, არასოდეს არავითარი განცხადება არ გამიკეთებია იმ ხასიათის, როგორც ბრძანებს ბატონი გოგიჩია. თითქოს ჩვენ გვეთქვას, რომ ეს საქმე უეჭველად დიპლომატიური მოლაპარაკებით გათავდებოდა. არასოდეს, არსად ეს არ გვითქვამს (შენიშვნა: ნუ ცრუობთ?). არც გოგიჩიას სიტყვა არ იყო ასეთი. ვიცით, ჩვენ გვქონდა იმედი—ეს სხვაა, მაგრამ დამტკიცებით, გადაჭრით იმის თქმა, რომ ესა თუ ის შეტაკება გათავდება მორიგებით, დიპლომატიური გზით, არასდროს თუ მთავრობას თავის შეგნებულობით, მე მგონია, რომ ასეთი განცხადება არც ერთ პუნქტზე მთელ ადამიანს თავში არ მოუვიდოდა. მე არ უნდა ვთქვა ბრალდება (ხმა: დემაგოგიაა?) ვიცი, ეს მართალია, ვეზრდილობ იქ (ხმაურობა), იმავე დროს უნდა აღვნიშნო, რომ დელეგაცია გაგზავნილია ყუბანის მთავრობასთან (ხმაურობა. თავმჯდომარე: არ შეიძლება, ბატონებო, გთხოვთ კიდევ მოგიწოდებთ, ნუ დაარღვევთ წესიერებას) (ხმა: მადლობა). ნება მიბოძეთ ვუპასუხო ამაზე: ინგლისის მართალაც პარლამენტის დადგენილებით მადლობა განცხადებულა იმ დიდ ნაბიჯზე, რომელიც გადადგა გენერალმა მილნმა და მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტმა მხოლოდ თავისი მოვალეობა შეასრულა. მე კატეგორიულად შემიძლია განვაცხადო აქ, რომ ბრძანება ხაზის დაცვის შესახებ გენ. მილნიდან მართლაც დენიკინის შტაბში და დენიკინმა მიიღო, მაგრამ თუ ინგლისმა ამის შემდეგ თავისი მოვალეობა შეასრულა და მეორე ნაბიჯი დიპლომატიური არ გადადგა და ძალით არ მოახდინა ხასრულებში თავისი დაპირება შესრულება, აქ, ჩემის აზრით, არც მთავრობა, არც პარლამენტი არავითარ შეცდომაში არ არის. ერთი ფრიად თვალსაჩინო მომენტი, რომელიც სხვათა შორის ამ აღნიშნულ ლაპარაკის სიტყვაში, გახლავთ შემდეგი: თითქოს მე მეთქვას, რომ სოჭის ოლქში იბრძვიან ბოლშევიკები და მოხალისეთა ჯარი და დენიკინის რაზმი, ამიტომ ის ჩვენი აზრი ორი პარტიზანულ ორგანიზაციებს არ გვეხება. რომ ეს ბოლშევიკური მოძრაობა არის—ამას ამტკიცებს და ხელმძღვანელობს გენერალი დენიკინი და მისი წარმომადგენელი გენერალი ბრიგსი. მე ამის მსგავსი არაფერი არ მითქვამს, პირიქით, მე უნდა განვაცხადო, რომ იმ მოძრაობას, რომელსაც ადგილი აქვს იქ არაფერი საერთო ბოლშევიკურ მოძრაობასთან არ აქვს. ეს მხოლოდ მოწინააღმდეგე გახლავთ დენიკინისა, მოწინააღმდეგე მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაამართლა ის რეპრესიები ინგლისის თვალში, რომელსაც, ალბათ, ის მიმართავს იქ და უკვე მიმართა. მე, პირიქით, მოგახსენებთ, რომ ამ რეპრესიებს თავგანწირულად და ენთუზიაზმით გამოდიან ქართველები. მე შემიძლია მოგახსენოთ და მართალიც აქ ჩვენ შორის პროვოკაციული გამოსვლები გახლდათ, მე მოგახსენებთ, რომ გზაში ლაბას და ყუბანის რაიონში ხდება შეტაკებები. იბრძვიან დენიკინელები და ბოლშევიკები, ჩვენ არ ვიცით რითი გათავდება ეს შებრძოლება, მაგრამ ვირწმუნებთ ამ ტრიბუნიდან, რითიც არ უნდა გათავდეს ეს შეტაკება, მაინც საფრთხე საქართველოს რესპუბლიკის მთელი, რადგანაც, თუ დამარცხდება დენიკინი, ის შეეცდება ახალი ბაზის გაჩენას და შესაძლებელია სწორედ, რომ ახალი ბაზა საქართველოში ეძიოს. აქ, მე მგონი, საფრთხე თავის თავად ნათელია და თუ დამარცხდება ბოლშევიზმი, მაშინ ჩვენთვის აშკარაა, რომ სამხედრო ოპერაციებს დენიკინი გააძლიერებს საქართველოს დემოკრატიის და საქართველოს რესპუბლიკისადმი, ჩვენ ვფიქრობთ და ყველაფერი დამთავრებულია ამაზე. მე მგონია, რომ პირველ ლახვარს სწორედ ჩასცემს საქართველოს დემოკრატიას, საქართველოს რესპუბლიკას, მაგრამ აქ მეორე მხარეც არის. ვიქნეთ გადაწყვეტილი ბოლშევიზმი, როგორც ფიქრობს ბატონი გოგიჩია, თუ ბოლშევიზმი მოიკიდებს, როგორც ამას ის წინად შეეგუებოდა, საქართველოს დემოკრატიას და ხალხს თავის ნებას და დაამყარებს იქვე წესრიგს, რომელიც მას ჩვენთვის მისაღებად მიაჩნია. როგორც ფიქრობს ბატონი გოგიჩია, ვეკითხები თუ არა ყოველი მოქალაქე შეგნებული დემოკრატი და საზოგადოებით მთელი დემოკრატია შეეძლება თუ არა, რომ ასეთ სურვილებს ამართლებდეს მოქცეულთა წინ ადგება და შეებრძოლება გაუფრთხილებლად (ხმა: ეს სულ სხვა საკითხია) ვიცი, ბატონებო, მე არ ვიცი როგორ ფიქრობს ბატონი შენგელაია, მხოლოდ იგივე გოგიჩია იმ აზრისა იყო, რომ ამ შემთხვევაში ბოლშევიკებს ბრძოლას ვერ გაუწევენ, მთელ ქვეყანას ვერ შეებრძოლებიანო, მე არ ვიცი მთელ ქვეყანას შეებრძოლებით თუ არა, საზოგადოდ ასეთ დემოკრატიას თავის თავზე ვერ იკისრებს მთავრობა, მხოლოდ ერთს კი განვაცხადებ: ყოველივე ისეთ ძალას, რომელიც მიმართულია ჩვენი დემოკრატიის შემოქმედების წინააღმდეგ, ყოველივე ისეთ ძალას, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს და რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჩვენ ასეთ ძალას სასტიკ წინააღმდეგობით შევხვდებით; ეს არის ჩვენი ისტორიული დანიშნულება და მოვალეობის დაცვა, მე ღრმად მწამს, ჩვენი დემოკრატია და მის წინაშე პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობა, ამ თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს. რაც შეეხება ყუბანის მთავრობასთან დამოკიდებულებას, მე უნდა აღვნიშნო თქვენს წინაშე, რომ ამ მთავრობასთან ჩვენ გვაქვს საუკეთესო, კეთილ-მეზობლური განწყობილება. მეტს ვიტყვი კიდევ დენიკინის აგენტები შეეცადნენ ჩვენსა და ყუბანის ყაზახების და მთავრობის შორის ჩამოეგდოთ შური, შუღლი და მტრობა და იყო მომენტი, როდესაც ამ პროვოკაციას, მართლაც იქ ადგილი ჰქონდა, მაგრამ დღეს აშკარად იცნობიერებენ, რომ უნდა აღვნიშნო თქვენს წინაშე, რომ ყუბანის ყაზახების ჯარის ნაწილებისაგან არც ერთი არ სდგას ჩვენს წინააღმდეგ (ტაში) ისინი მართალია იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ, ერთ დროს გაწვეულნი, მაგრამ შემდეგ ასეთი ხელიერი განწყობილება ყაზახებში, რომ დენიკინი იძულებული გახდა ეს ყუბანის ყაზახების ნაწილები გაეწვია იქიდან და მათ ადგილას დღეს ჩაყენებულია მხოლოდ ოფიცრების რაზმები და სხვა ელემენტები. ასეთია, მოქალაქენო, ხაზის მდგომარეობა და ვითარება. მაშასადამე, ჩვენი განცხადება—ჩვენ მხოლოდ განვაახლეთ სამხედრო მოქმედება იმისათვის, რომ მეტი ცდა და მოლოდინი ჩვენ არ შეგვეძლო. ყოვლად შეუძლებელი იყო ჩვენი ჯარი დამდგარიყო კიდევ რამდენიმე ხანი იმ ავტონომიურ ფსიხოლოგიურ ატმოსფეროში, რომელშიაც ის დარჩა სამი თვის განმავლობაში. ვერც ერთი ჯარი, მე აქ თამამად შემიძლია განვაცხადო თქვენს წინაშე, ვერც ერთი სახელმწიფოს დღევანდელ მდგომარეობაში, ამ ლოდინით ერთ ადგილას არ გაჩერდებოდა, როგორც ხანდაზმით გაჩერებულიყო ჩვენი ჯარის ნაწილები. და ამ მხრივ მართლაც ჩვენი გვარდიის და ჯარის სამხედრო ერის შესანიშნავი. მეორე მხრივ, მდგომარეობა ასეთი შეიქმნა, მართალია აქ დაგვიწყება სადავოდ მოთავსებულმა და მთავრობამ ეს ნაბიჯი გადადგა. ვთვლი მე ხაზს იმით, რომ არავითარი მსგავსი ამ ფაქტისა, რომელსაც მოქალაქე გოგიჩია ბრძანებს, თითქოს ჩვენ მოულოდნელად წინასწარ ჩვენ ფრაქციასთან და თვით დამფუძნებელ კრებას ასეთი ფაქტის წინ დავაყენეთ, მე ვაცხადებ სრულიად შეუწყნარებლად, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია და მგონია რომ ჩვენ მოქმედებაში ამას არც ჰქონია ადგილი. საქართველოს მთავრობამ მხოლოდ წინად ხელმძღვანელობის ბრძანებით გასცა ბრძანება, რომ ჩვენი ჯარი წინ წაწეულიყო. თავის თავად ცხადია, რომ ფაქტიურად და ფორმალურად არ გვქონდა შესაძლებლობა თავის დროზე ეს გამოგვეცხადებინა და მოგვეხსენებინა, მაშინ ვამტკიცებ, იმ პირობებში, რომელშიაც ვიმყოფებოდით, წინასწარ გამოცხადებული დამფუძნებელ კრებისთვის ასეთი ნაბიჯის შესახებ ეს ფრაქციებისათვის. და ამ მხრივ ჩვენის აზრით საჭირო იყო გამოცხადება, მხოლოდ მისი გამოცხადება მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ამას საერთო არ ჰქონდა საჯაროობასთან, არც ხალხის ინტერესებთან, ეს იყო მხოლოდ იმისათვის საჭირო, რომ შეიარაღებული მოხალისენი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ყოველივე ეს გამოირკვევა, მხოლოდ ერთი ფაქტი დარჩება, რომ ჩვენ ყველამ შეუპოვრად ამოვცვეთეთ ჩვენს რესპუბლიკას ყოველივე მტერი, ხოლო ნაცვალი არ უნდა მოველოდეთ იგი. (ტაში).

ა. არსენიძე. მეორეთ გამოვდივარ, რადგანაც აქ გაისმა ასეთი სიტყვა, რომლის მსგავსს ერთი წლის წინეთ მეფის მთავრობის ოპერაციების დროის პროვოკაციებში ვკითხულობდით. საქართველო ომს იწყებსო, საქართველო ომს აცხადებსო—აქვთ გაზეთებში. ამას ლაპარაკობს მაშინ, როდესაც იცის, რომ ჩვენ ხუთი თვეა, რაც ომში ვიმყოფებით და ს. ხ. მთავრობას ს. ფედერ. ფრაქციისაგან მიეცა დასტური შეტევის შესახებ. არავითარი ამის მსგავსი არ ყოფილა. რა მთავრობა იქნებოდა ის მთავრობა, რომელიც მტრის გადმოსვლის შესახებ მიმართავდეს და კრებას გამოცხადებდა? (ტაში). რა არის ეს თუ არა სიკვდილის განაჩენი ბ. გოგიჩია? (დ. შენგელაია: მოგვიგლეჯავს) და თუ ეს მიმდინარეობით მოგახსენოთ, მაშინ მიუხედავად ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მიდიხართ და ჩვენი არა. მიღებულ იქნება შემდეგი რეზოლუცია ს. დ. ფრაქციის მიერ წარმოდგენილი.

რეზოლუცია.

მოისმინა რა მთავრობის მოხსენება სოჭის ფრონტზე მომხდარი ამბების გამო, დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა სოჭის ფრონტზე ჩვენი რესპუბლიკის უდავო და სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად მშვიდობიანი გზით და საშუალებით, რომ მოხალისეთა ჯარის კონტრ-რევოლუციონურმა და აგრესიულმა მიზნებმა, რომელიც მიმართულია ჩვენი დემოკრატიის დამხობისა და რევოლუციის მონაპოვართა გაუქმებისაკენ, აუცილებელი გახადა იარაღით აღდგენა ჩვენი დემოკრატიის უფლებებისა, დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ საქართველოს რევოლუციონური გვარდია და ჯარი, მთელი თავისი რევოლუციონური გატაცებით დაიცავს ამ შემთხვევაშიც შეიარაღებული რეაქციის შემოსევისაგან ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

დამფუძნებელი კრება იწონებს მთავრობისაგან გადადგმულ ნაბიჯებს და გადადის მორიგ საქმეებზე“.

პირველ მაისისთვის

მიახლოვდა საერთაშორისო მუშათა დღესასწაული. ევროპაში ამ დღისათვის ერთი და ორი თვით ადრე იწყებენ მზადებას, რომ ის ღირსეულად ჩაატარონ. ჩვენ ცოტა დაგვიგვიანდა. ერთი კვირაღა დარჩა პირველ მაისამდე. დიდი შრომა გვმართებს, რომ ეს დღე ღირსეულად ჩატარდეს. ამ გარემოების მიზეზით ცოტა უკვე წყობილებით თვალისას ორგანიზაციებმა და ადგილის დღესასწაულებში მიიღეს რამდენიმე კრება, სადაც არჩეულ იქნენ, როგორც ადგილობრივი საზეიმო კომისიები, აგრეთვე წარმომადგენლები მთავარ საზეიმო კომისიაში. ეს უკანასკნელი შეადგენს მუშათა პროფესიონალური კავშირთა ცენტრში.

ამ კომისიაში არიან წარმომადგენლები: კავშირთა სეკრეტარიატისაგან, თბ. კომიტეტისაგან, პირველი რაიონის კოლექტივის საზეიმო კომისიისაგან, მთავარი სახალხო გვარდიის შტაბისაგან, მუშათა დეპუტატების საბჭოსაგან, სახალხო უნივერსიტეტისაგან და ყველა რაიონების კოლექტივებისაგან. პირველ სხდომას ამ კომისიისას საზეიმოდ ყველა წარმომადგენელი ვერ დაესწრნენ. ჯერ-ჯერობით მთავარმა საზეიმო კომისიამ შეიმუშავა შემდეგი წესრიგი დღესასწაულისათვის:

1) თუ ტექნიკურად მოხერხდა დამზადდეს საზეიმო წითელი ნიშნები მარქსის სურათით და წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს“. წარწერა იქნება ქართულად, რუსულად, სომხურად, თათრულად და თუ მოხერხდა ინგლისურადაც. დემონსტრაციაში მონაწილეებმა ეს წითელი ნიშანი სავალდებულოდ გულზე ჰქონდეთ მიმაგრებული.

2) დილით ადრე მუსიკით და დროშებით შეიკრიბონ რაიონებისა და თავის სოფლის რაიონების კოლექტივებში, პროფესიონალურ კავშირებში, ანუ სადაც ადგილობრივი ორგანიზაციები ამას საჭიროთ დაინახავენ. აქედან კი დანიშნულ საათზე სასახლისაკენ გამგზავრება.

აქ მოკლე მიტინგი და არა უგვიანეს 12 საათისა დილა, საერთო დემონსტრაციის გამგზავრება სასახლიდან კომისიის მიერ აღნიშნულ ქუჩებით ძმათა სასაფლაოსაკენ, ნაძალადევში. (ეს მარშრუტი შემდეგ იქნება გამოცხადებული).

დემონსტრაციის მსვლელობის წესრიგი და მიმდევრობა წინა დღეებში იქნება გაზეთში გამოცხადებული, ხოლო დღეისთვის საჭიროა აღინიშნოს, რომ იქნება სათავეში ცენტრალური ჯგუფი, მოსწავლეთა ჯგუფი, ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფი, მთავრობის წარმომადგენლები, დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქცია, ქალაქის საბჭოს ფრაქცია და ამას მოყვება პოლიტიკური ორგანიზაციები და სხვადასხვა მუშათა პროფესიონალური კავშირები.

მიწვეულნი იქნებიან ამიერკავკასიის დემოკრატიული ორგანიზაციები, რომ დღესასწაული ერთობლივ ჩატარდეს.

პირველები გაივლიან ძმათა სასაფლაოსთან და ყველა გამგეობის შეიკრიბება ამ ძეგლებს ადგილს ყვავილებით.

3) ყვავილების გადასვლა უნდა მოეწყოს ორგანიზაციულად თვით კომისიის მიერ და რაც შეეხება თავად, რომ ყველა მსვლელი მიუტანს სამგლოვიარო შეუკრას ეს დიდებული სასაფლაო ყვავილებით.

ამის შემდეგ აქვე სასაფლაოს გვერდზე დიდ მინდორში გაიმართება მიტინგები და შემდეგ სიმღერა—წარმოდგენა—თამაში,

4) საღამოს რიგ საათზე იწყება დღესასწაული რაიონებში ამ პროგრამით, რასაც თითოეული რაიონი შეიმუშავებს.

მაგაზიები სასწავლებლები ხმარებაში ამ დღეს ოთხსაათამდე არიან.

5) საზეიმო პლაკატები და წარწერები შეიძლება გამოფენილ იქნეს მაღაზიებზე და თუ საჭიროა დარიგდეს ამაღლებულ დღეობისთვის.

სასურველია წარწერა რომელიმე პლაკატზე ინგლისურადაც.

6) მოიწვიოს საზეიმო სახალხო მატარებლები ბათომ—ბაქო—ერევნისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს—სალამი თფილისის პროლეტარიატისაგან“.

7) ნაძალადევის გადასასვლელი ხიდის მორთვა მიენდო რკინის გზის ამხანაგებს. ხოლო სამმართველოს, სადგურის, ცენტრალური კომიტეტის, რედაქციების და სხვა საზოგადო დაწესებულებების მორთვა კი ადგილობრივი ამხანაგების მოვალეობაა.

8) ვიქონიოთ ამ დღისათვის საამისოთ წითლად მოკაზმული რამდენიმე ავტომობილი, რომელნიც ქალაქში ივლიან და ალაგ-ალაგ, როცა ხალხი მოგროვდება, პირველ მაისის მნიშვნელობაზე ილაპარაკებენ ამისათვის დანიშნული ამხანაგები.

9) პირველ მაისს დარიგდეს ხალხში მოწოდება სხვადასხვა ენაზე ამ დღის მნიშვნელობის შესახებ და თუ მოხერხდა ერთ-ერთი ჩვენი გაზეთთაგანიც შეფერადებით ამ დღეს და ისიც დარიგდეს ხალხში.

10) პირველ მაისს უნდა შეჩერდეს ყოველივე მუშაობა, ვაჭრობა, მრეწველობა, ხოლო არსებულ მდგომარეობათა გამო რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა არ შეწყდება.

პირველი მაისი უნდა გახდეს ჩვენი სოლიდარობის, ჩვენი ძალის, ჩვენი ორგანიზაციის და ჩვენი ერთობის მაჩვენებელი—საზომი ბარომეტრი.

ამხანაგებო!

პირველი მაისი თქვენი დღეა. პირველი მაისი საერთაშორისო მშრომელთა დღესასწაულია.

რიცხვმრავლად, ერთსულოვნად, გამოფხიზლებულად მიიღეთ დღესასწაულში მონაწილეობა.

წითელი ლენტით გულზე...

წითელი ყვავილით ხელში გაეშურეთ ძმათა სასაფლაოსაკენ.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

სამაისო კომისია.

ღია წერილი ექიმებისადმი

საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირი დაარსდა და წესდებაც ამ კავშირისა უკვე დაამტკიცა საოლქო სასამართლომ.

ეხლა საჭიროა, რომ ჩვენ ექიმებმა დავტოვოთ ჩვენი ჩვეულებრივი ინდიფერენტიზმი და შევუდგეთ ჩვენ პროფესიონალური საქმის მოწყობას. ამ მხრივ ჩვენ ეხლა, როდესაც საქართველო ახორციელებს თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, ძლიერ ბევრი საქმე გვაქვს.

რასაკვირველია, ქვა-კუთხედი ჩვენი მოღვაწეობისა უნდა იყოს ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობაზე, რომელიც ჩვენი პროფესიის სპეციალური საგანია. ჩვენ ყველანი ზნეობრივ მოვალენი ვართ მთავრობას და ყველა იმ ახლად შექმნილ დაწესებულებათ: ერობებს, ქალაქთა თვითმართველობებს და სხვ. ჩვენი ცოდნით და გამოცდილებით დავეხმაროთ ამ საქმის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებაში.

კავშირი თანაბრივ უნდა ანაწილებდეს ექიმებს თანამდებობებზე და ფიქრს უნდა აქცევდეს, რომ ერთ ექიმს არ ეჭიროს ორი სამი ადგილი და მეორე უადგილობის გამო მშიერი არ იყოს.

კავშირს უნდა ჰქონდეს ამხანაგური და სვინიდისის სასამართლო, რომ ყოველივე უსიამოვნო მიმდინარე ექიმთა შორის ამ სასამართლოში სწყდებოდეს და არ გადადიოდეს დიდ საზოგადოებაში სხვა და სხვა მითქმა—მოთქმის გამოსაწვევათ.

კავშირს უნდა ჰქონდეს თვის წევრთა და მათ ოჯახებისათვის სხვა და სხვა მატერიალური დამხმარე დაწესებულებანი. ამ გვარ დაწესებულებათ საჭიროება ნამეტნავათ ეხლა, როდესაც ამ უკანასკნელ დროს მძვინვარე ეპიდემიამ იმსხვერპლა ბევრი ჩვენი ამხანაგი და მათი ოჯახები დარჩნენ ულუკმაპუროთ.

კავშირმა უნდა მიიღოს ზომები, რომ ჩვენი პროფესია გაიწმინდოს იმ ცრუ ექიმებიდან, რომელნიც ამ ბოლო დროს გაჩნდნენ ჩვენში.

აი დაახლოვებით უმთავრესი ის საგნები, რომელნიც კავშირის მიზანს უნდა შეადგენდნენ.

ამ მიზანთა მისაღწევათ საქართველოს ექიმები ყველანი ფაქტიურათ უნდა გავხდეთ კავშირის წევრები. ჩავეწეროთ კავშირში და იმ ჩვენს პროვინციებში, სადაც ერთათ არიან 10 ექიმი დავაარსოთ საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირის ფილიალური განყოფილება. სადაც ამაზე ნაკლებია, პირდაპირ ჩავეწეროთ საქართველოს კავშირში და რაც შეიძლება მალე განვახორციელოთ ის საქმეები, რომელნიც ჩვენ წესდებაშია ნაჩვენები.

ექიმი ალ. მაღალაშვილი.

ს.-დემ. პარტიაში

ტფილისი. კუკიის მცირე კოლექტივმა 15 აპრილის მორიგ სხდომაზე დაადგინა: გაიხსნას კიოსკი პირველ მაისიდან, სადაც გაიყიდება პარტიული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და ჩაეწერებიან პარტიის წევრებათ. მცირე კოლექტივმა იქონია მსჯელობა იმ მრავალ რიცხოვან ბოროტ-მოქმედება ყაჩაღობაზე, რომელსაც ბოლო ხანებში ადგილი აქვს თფილისში და სასოწარკვეთილებაში აგდებს მოქალაქეებს, მაგრამ რადგან ეს შეეხება ადმინისტრაციას და არა პოლ. ორგანიზაციას, გამოითქვა მწუხარება და გადაიდო მორიგ საკითხზე. მაისობის დღესასწაულის შესახებ მსჯელობას იქონიებს მცირე კოლექტივი შემდეგ სხდომაზე, რომელიც შესდგება აღდგომის მესამე დღეს.

ც. დ—ძე.

მიქელ-გაბრიელი. 29 მარტს შესდგა მიქელ-გაბრიელის რაიონის კოლექტივის კრება. კრებას ესწრო „იაჩეიკებიდან“ დელეგირებული კოლექტივის წევრები, ამ კრებაზე იყო გასათვალისწინებელი გურიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული დადგენილებები ზემოხსენებულ რაიონის ნაწილ იაჩეიკებში გასატარებლათ. კრებაზე მოხსენება გააკეთა ნესტორ კეჭუმაძემ. 1) გურიის ზოგნი საზოგადოებები, რომელნიც არიან საცხენე ადგილებს მიკედლებულნი და ყანობდენ რამოდენიმე ათი ვერსის საშორიზე სხვადასხვა კუთხეებში დასახლდეთ გურიის ნაწილში, მათ ეხლაც აღუძრავთ საკითხი ცენტრალურ კომიტეტში, რომ გურიის დასახლეთ საზოგადოებებმა დაუთმონ ზემოხსენებულ საზოგადოებებს დასახნავ კუთხეებში საცხენე ადგილები. ამ საკითხის მოსაწესრიგებლათ გურიის ცენტრალურმა კომიტეტმა აირჩია აგრარული კომისია. 2) ს. ვაშნარში თემდებთან ბრძოლაში დახოცილთა ხსოვნის აღსანიშნავათ, ერობას ევალება მოიწვიოს იქვე ვაშნარში მიტინგი. 3) ზოგიერთ საზოგადოებაში, როგორც ირკვევა, თავი იჩინა ისეთმა ელემენტებმა, რომლებსაც ჩვენი დამოუკიდებლობის და მთავრობის წინააღმდეგ შეაქვთ ხალხში არევდარევა. ასეთი საზოგადოების ს. ს. დ. პარტიის წევრებმა უნდა გამოიჩინონ მათ წინააღმდეგ სიფხიზლე. აგრეთვე ისეთ პირებზედაც, რომელნიც მალულად გადადიან ჩოლოქის საზღვრებს იქ მყოფ დასმენას აგრეთვე მალულათ ჰყიდიან იარაღს. ამის შესახებ ჩოლოქის განაპირა კუთხეებში იქნას არჩეული კომისია, რომელნიც მიიღებენ მათ წინააღმდეგ ზომებს. ყველა ზემოხსენებული საკითხები კოლექტივმა მოიწონა და დაადგინა სისრულეში მოსაყვანათ იაჩეიკებში გაეცნონ წევრებს.

ივანე გიორგაძე.

მუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში. პარასკევს, 25 აპრილს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მორიგი კრება ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) 1-ლ მაისობის მოწყობა. 2) ძირითად ჯამაგირში პურისა და ყველა მომატების შეტანის შესახებ. 3) ელექტრონების პროფესიონალურ კავშირის გამგეობის განცხადება მის მიერ 26 აპრილს გაფიცვის გამოცხადების შესახებ. 4) მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა 1 სიეზდის შესახებ. 5) მიმდინარე კითხვები. სეკრეტარიატი სთხოვს ყველა კავშირების გამგეობებს მიიღონ ზომები, რათა ხსენებულ კრებას დაესწრონ მათი წარმომადგენლები.

პროვინცია

ბორჯომი. 13 ამ თვეს შესდგა ბორჯომის ქალაქის საბჭოს კრება. განსახილველი იყო საფინანსო და სასკოლო კომისიების მოხსენებანი. პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ხმ. გრ. ლომინტი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წინანდელ პერიოდში ქალაქის შემოსავალი თვითეულად დაიკლებოდა, გასავალს, ნახევარი, ვიდრე მოეწყობოდეს ხარჯთაღრიცხვა ორგანიზაცია, საჭიროა იქნება დროებითი სესხის აღება. მოხსენება ცოტა შესწორებით მიღებულ იქნა. მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ხმ. ზ. ნებიერიძემ. მან აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით ქალაქის ხელში დამოუკიდებლად გადასულია შემდეგი სასწავლებლები: ბორჯომის ორკლასიანი, საქალებო, ვაჟებისა ერთკლასიანი და ბერძნებისა სასწავლებლები. ხსენებული სასწავლებლების განათლების სამინისტრომ ქალაქს თავის კრედიტებით (400 მ. თითო მასწავლებელზე). მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სასულიერო და საერთო არის ქალაქის მასწავლებლები გათანასწორებულ იქნან ნატურალურად ერობის მასწავლებლებთან, რომელნიც იღებენ აგრეთვე 400 მანეთს დამატებას ერობიდან. საბჭომ მოხსენება მიიღო. ამნაირათ ქალაქის მასწავლებლები 1 მარტიდან მიიღებენ 800 მან. ჯამაგირს. უკანასკნელი საკითხი იყო გამგეობის კონსტრუქცია. ამ საკითხში იგულისხმებოდა გამგეობის წევრის ნ. ჯომარდიძის წასვლის შემდეგ ახალი გამგეობის წევრის მოწვევა და მესამე გამგეობის წევრის შემატება. არჩეულ იქნენ კ. ვლასოვი და ნ. დევიძე. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგათ აირჩიეს ს.-დ. კოფ. ჯაფარიძე. ამავე კრებაზე განხილულ იქნა ქალაქის გამომიჯვნის საკითხი. დასახლებულ იქნა დაახლოვებითი საზღვრები დაწვრილებით საზღვრების შედგენა მიენდო გამგეობას.

ნოდე.

სოფ. სამიქავო (სენაკის მაზრა). სამიქავოს საზოგადოებაში სოფ. მაიდანში იყო გავარდნილი ყაჩაღი ტარასი ლოჩოშვილი, რომელსაც ბრალათ ედებოდა საზოგადოების მწერლის ჯოჯუას მოკვლა 1918 წლის აგვისტოს 20. ბევრი დევნის შემდეგ დაიჭირეს სოფ. კუხში და იქნა გაგზავნილი ქუთაისის საპყრობილე ციხეში, შემდეგ საქმის გამოძიებისათვის გაგზავნეს სენაკის მაზრის ციხეში, საიდანაც გზაში გაიქცა და შეუერთდა ლ. ახობაძეს. ესინი თავს იფარავდენ ცხენის წყლის რიყეში, სადაც ერთხელ თავს დაესხნენ მათ აბაშის რაიონიდან გამოგზავნილი მილიციონერები. უკანასკნელად სოფ. სამიქავოში მელიტონ მიქაძის სახლში 12 აპრილს ღამით 12 საათზე თავს დაესხა აბაშის რაიონის კომისარი მილიციონერებით. კომისარმა უბრძანა გარეთ გამოსულიყვნენ ყაჩაღები. სროლის დროს მოკლულ იქნა ლოჩოშვილი და სასიკვდილოთ დაიჭრა სახლის პატრონის შვილი სანინო, რომელიც დილით გარდაიცვალა.

ხ—ლი.

ს. ჩიბათი (გურია). 9 აპრილს ქ. ლანჩხუთში მოწვეული იყო ნიგოითის, ლანჩხუთის და ჩიბათის შეერთებული კრება. საქმე შეეხებოდა საერთო წყლის ერთიანების შექმნას. ორი წლის წინა საზოგადოება არ გამოცხადდა, ჩიბათიდგანაც კი რამდენიმე უმცირესობა დაესწრო, კრებამ მიიღო თათბირის ხასიათი. მომხსენებლებმა არსენ წითლიძემ განმარტა, რომ მიუხედავათ წინასწარი სამაზრო თათბირის გადაწყვეტილებისა ერობის წევრთა უმრავლესობამ მიიღო საზოგადოების გადაჯგუფება წვრილ ერთეულებში და ამის უპირატესობისათვის მოიყვანა სხვადასხვა საბუთები, მაგრამ ვინაიდან ეს უკვე მიღებულია უმაღლეს ორგანოში, ჩიბათი უნდა დარჩეს თავის ძველ საზღვრებში, რომლის გამოც ჩიბათის სრულ კრებაზე უნდა დაისვას კვლავ ეს საკითხი. ეჭვს გარეშეა ამასავე გაიზიარებს ისიც, ვინაიდან მათ მრავალი აქვთ გასამართლებელი საბუთები.

ვილდითელი.

ყვირილა. გასულ წელს განსაკუთრებული მცველი ჰყავდა ქალდა ფონის ხიდს, რომელიც თვითეულ მგზავრს განსაზღვრულ ბაჟს ახდევინებდა. შემდეგ მცველი მოიხსნა, მაგრამ დღეს ქუჩებში ზეხვედრით სახელის ჩაქებით ადგილობრივ ვაჭრებს ბიქტორ ახრახაძეს და თედორე ჩადუიძეს და ყველა მგზავრებს ახდევენ ბაჟს. ნეტავ ვიცოდეთ, ვის სასარგებლოთ მიდის ეს ბაჟი. განახლებულმა ქალაქის თვითმართველობამ ამ მოვლენას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

იხა ვარ.

წერილი რედ. მიმართ

ქუთაისის გაზეთ „სოციალდემოკრატის“ სამოცდა რვა ნომერში დაისტამბა ოქმი მწვანეყვავილის კოოპერატივ „დახმარების“ წევრთა კრებისა, რითაც საზოგადოებამ ეცნობა ამ კოოპერატივის გამგეობის სახელდობრ მისი თავმჯდომარის ურიგო საქციელი და ბოროტმოქმედებაც კი საზოგადო საქმეებში. ამ ოქმის მახლობლად გაზ. „ერთობაშიაც“ დაიბეჭდა მოწინავე წერილი, სათაურით „ქურდობა შეამცნობაზე კოოპერატივებში“, სადაც ქუთაისის კოოპერატივი „დახმარების“ გამგეობის ბოროტმოქმედება მოყვანილი იყო, როგორც მაგალითი იმისა, თუ როგორ იყიდებოდა და დღესაც იყიდება საზოგადოთ კოოპერატივების სახელი სპეკულიანტების მიერ.

სიმართლის აღსადგენათ მოვყევით ნება განგვეცხადოთ შემდეგი: კრებამ, რომელმაც ჩემი გამგეობის რეზოლიუცია გამოიტანა, დაესწრო ერთ მესამედი წევრთა რიცხვის ნაკლები. ამ საგანგებო კრების 3—4 კვირის წინათ მოხდა საზოგადოების ჩვეულებრივი წლიური კრება, რომელმაც გამგეობას მრავალ-მუშაობისათვის დიდი მადლობა გამოუცხადა და ჯილდოთ ერთდროული ფულით დახმარებაც კი აღმოუჩინა.

მე გაზეთ „სოციალდემოკრატის“ საშუალებით კიდევ გამოვიწვევ ზოგიერთი პირნი სამედიატორო სამართალში გადასაწყვეტათ და უსამართლო ჩირქის მოცხებისათვის. გარდა ამისა, თვით კოოპერატივის წევრთა დიდი უმრავლესობა ითხოვს საჩქაროთ ახალ კრების მოწვევას უკანონოთ შემდგარ მცირერიცხოვან კრების დადგენილების გადასასინჯავათ, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ამ მოკლე დროში მოხდება.

როგორც მედიატორების, ისე ახალ კრების დადგენილება პრესაში იქნება გამოქვეყნებული და მე დარწმუნებული ვარ, საზოგადოება შესაფერ მსჯავრს დასდებს ცილის მწამებლებს. *)

ფ. მგალობლიშვილი.

ცნობები

სერაპიონ ბეჟუას ძე მსხილაძე მსახურებდა პირველ მსროლელ პოლკში, მეოთხე ბათალიონში, 18 როტაში, რომელსაც თათრებმა დაიკავეს ახალციხე, იმ ფრონტზე იყო გაწვეული და მას მერმე არაფერი ვიცით. გთხოვთ, თუ ვინმემ რაიმე იცით მის შესახებ, გვაცნობოთ სადგურ საჯავახოში საზოგადო კოოპერატივში.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს და ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხი მალე სამართლიანად გამოირკვევა. რედ.

განცხადებანი

ქართული ლატარია

დავანებოთ თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავე
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვირგვინდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების სვეტი.
ეხლა ლექსი აქებს,
ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მიაშურეთ მალე
ჩვენ გაწყვეტილ გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მსურს მეც ამ ყვირილით,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მიაშურე ერო,
ლატარიას ქართულს“.

თივა.

იყიდება ძლიერ დაკლებულ ფასებში დაპრესილი ბზე და თივა ვაგონობით და ფუთობით. „ნაზეიერის“ ქუჩა, № 4, ვერის ხიდის ზემოთ, შუშის საწყობი ძმ. დოლიძეებისა.

მჟავე კომბოსტო.

საქ. სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტი ჰყიდის მჟავე კომბოსტოს

ფუთს 60 მანეთად.

მისამართი: საქამლის სადგური, თფილისი, საწყობი № 14. (8—1)

ექიმი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს ბავშვთ შინაგან და სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. გუნიას ქ., № 43.

ექიმი

ბეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებებით ავადმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) მიიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: ნიკოლოზის პრ. № 116 სასტუმრო „ნიუს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრონ წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ის სხივებით დიდი სინათლით და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფ. 7—92.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

კირპიჩნი ქ. № 49, ანდრონიკოვის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძველი და ხრონიკული [illegible]) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავადმყოფობანი, „606“ და „914“ შეშხაპუნება. მამაკაც ავადმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალებს საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი ც. ა. ზაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღას ქ. № 88.

დოქტორი

გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ვენის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, ბავშვთა და ქალურ სნეულებებით ავადმყოფთ დილით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმინდეიშვილის აფთიაქის გვერდით.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი

პ. ნ. გოგიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ვენურ. კლინიკისა სამხ. საექ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, ხიფილ. შარდისა და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606“ და „914“ შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კახეთის ქუჩა, № 11.

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალისა და სადასტაქრო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიას ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი

ბესარიონი პოპოვი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი ქალი

რ. ბ. შიოლა-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი

ალ. გ. მაჭავარიანი.

იღებს სადასტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის სახელ. საავადმყოფო № 111. (მე-2 ფლიგელი) ტელეფონი № 49.

ექიმი

დ. ი. ცაგარელი

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, № 9.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახ. სახლი

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახ. წარ. მართველი წრე.
ხუთშაბათს, 24 აპრილს 1919 წ. მსახიობ ნ. დავითაშვილის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:

უდანაშაულოდ დასჯილნი

კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: ნ. დავითაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ნინონი, იანქოშვილი, მანდელი; ბ.ბ. ნ. გოცირიძე, კობალი, ჭანკვეტაძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, თავდგირიძე.
რეჟისორი კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი 3 მ.—50 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
შემდეგი წარმოდგენა 1 მაისს.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ზ. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.
ხუთშაბათს, 24 აპრილს დირიჟორ [illegible] ბენეფისი

1. სევილიელი დალაქი
მონაწილეობენ: საბანეევა, სარაჯიშვილი, პოლიაევი, ნიკოლსკი, დემიანენკო.

2. ალეკო
მონაწილეობენ: ალეშკო, ვლადინა, სარაჯიშვილი, პოლიაევი, ისეცკი.

პარასკევს, 25 აპრილს,
ზ. პ. ფალიაშვილის ბენეფისი მე 10 ჯერ აბესალომ და ეთერი.

მეოთხე რაიონული კოლექტივი ს. ს.-დ. მ. პ.

ხუთშაბათს, 24 აპრილს, საღ. 6 საათზე, ვერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზში (ოლღას ქ., № 29) დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა მეორე

საზოგადო კრება

დღის წეს-რიგი: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა,
2) საერთაშორისო მდგომარეობა.

უკანასკნელ კითხვის შესახებ მოხსენებას გააკეთებს საქარ. დამფ. კრების წევრი ამხ. ა. ხაჟვარიძე. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება კანონიერათ ჩაითვლება მიუხედავათ წევრთა რაოდენობისა.

მესხეთი და ჯავახეთი შიმშილს განიცდის, უპატრონო ობლები პურს ითხოვენ.

მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი მოვალეობა, გაიღეთ თქვენი წვლილი, გაუწოდეთ ძმური ხელი ტანჯულ მოძმეთ.

შემოწირულება მიიღება მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის ბინაზე, გოლოვ. პრ. ს. № 24, ყოველ დღე დილის 11—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი.

აპრილის ბოლოს „დიდუბის ტაძარში“. ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ გაიმართება

თანამედროვე ქართულ მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა

საზოგადოება მოუწოდებს ყველა ქართველ მხატვრებს მიიღონ მონაწილეობა განზრახულ გამოფენაში. გამოფენის პირობები:

1) სურათები მიიღება 25 აპრილამდე. 2) სურათები უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგი მისამართით: თფილისი, გოლოვინის პროსპ. სახლი № 13, „დიდების ტაძარი“, ქართველ მხატვართა საზოგადოების სახელზე. სურათები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 ს. კვირა და უქმე დღეს კი დილის 11—2 საათამდე. თფილისის გარეთ მცხოვრებ მხატვრებს შეუძლიათ სურათები გამოგზავნონ ფოსტით. 3) სურათი უნდა იყოს მოთავსებული ჩარჩოში, და საზოგადოთ უნდა ქონდეს გარეგნული წესიერი სახე. 4) სურათის ზურგზედ უთუოდ უნდა იყოს აღნიშნული მხატვრის სახელი, გვარი და მისამართი, სურათის სახელწოდება. წარწერილი სურათის დასახელება და მისი ფასი. 5) საზოგადოების სახელზე უნდა იქნეს გამოგზავნილი დაწვრილებითი ბარათი, სურათების რიცხვის, სახელწოდების, თითეულ სურათის ფასის და სხვა ცნობების აღნიშვნით. 6) თანახმად ქართ. მხატვ. საზოგ. წესდებისა გაყიდულ სურათების თანხის 10 პროც. გადადის საზოგადოების სასარგებლოთ. (4—4)